კვირეული ჟურნალი „ვერსია“ ერთი

ვერსია

№8 (1598) 2 — 8 მარტი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

კრემლი უკრაინაში სამოქალაქო ომის ინსპირაციას გეგმავს?



დაბლოკილები

ვინ არიან „შავ სიაში“ შეყვანილი რუსები
და კონკრეტულად რა სანქციები დაუწესეს
აშშ-მ და ევროკავშირმა რუსეთს

ოკუპანტის ახალი თავსატეხი — რუსეთს „კანონიერი ქურდები“ შეესივნენ

როგორ სარგებლობს
კრიმინალური სამყარო ომით

გიორგი ვაშაძე: „რუსეთს პირველადი „მადა“ შემცირებული აქვს“

ექსკლუზიური ინტერვიუ
ფრონტის წინა ხაზიდან

დომენიკ მანგო და მისი რაზმი უკრაინაში გაემგზავრა

„საბრძოლო გამოცდილება
არ მაქვს, მაგრამ
დაჭრილებს მოვუვლი“

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

როგორ გახდა თურქული წარმოშობის ამერიკელი ბრიტანეთის პრემიერი

უცნობი ფაქტები ბორის ჯონსონის ცხოვრებიდან

კრემლი უკრაინაში სამოქალაქო ომის ინსპირაციას გეგმავს?

ემუქრება თუ არა საფრთხე საქართველოს – მამუკა არეშიძის პროგნოზი და შეფასებები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რუსეთი უკრაინის ქალაქებს ბომბავს. პარალელურად, დასავლეთი რუსეთს ეკონომიკურ სანქციებს უწესებს. ხომ არ ემუქრება საფრთხე საქართველოსაც? – „ვერსია“ ანალიტიკოს მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– როგორც ჩანს, არაა სახარბიელო მდგომარეობა, ვერ აჩერებენ რუსეთს. ძალიან ითრევს ფეხს დასავლეთი – მიუხედავად იმისა, რომ იმუქრებიან მკაცრი სანქციებით, ჯერჯერობით, ეს სანქციები ვერ აჩერებს რუსეთს, რაც პროგნოზირებადიც იყო. მოსკოვი შეეცდება, ძალიან მცირე მსხვერპლით დაიკავოს კიევი და აიძულოს უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება, რომ დათანხმდეს მის პირობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ვხედავ, აქვს სათადარიგო ვარიანტი – მოახდინოს უკრაინის ხელისუფლების დელეგიტიმიზაცია და არ არის გამორიცხული, იანუკოვიჩის ფიგურაც წამოსწიოს. ეს არაერთხელ იყო აპრობირებული საბჭოთა კავშირის პერიოდში, როცა რაღაც ხელისუფლებას შექმნიდნენ, მერე ის სთხოვდა მოსკოვს დახმარებას და ლეგიტიმური ხდებოდა. არაა გამორიცხული, ეს „კარტი“ გაითამაშოს და, პრაქტიკულად, სამოქალაქო დაპირისპირების ახალი კერა შექმნას უკრაინაში, თუ ზელენსკის მთავრობა არ დათანხმდება რუსეთის პირობებს.

– ეს პირობა რა იქნება?

– ნეიტრალიტეტის გამოცხადება, ნატო-ში გაწევრიანებაზე უარის თქმა.

– ორივე ვარიანტის შემთხვევაში, უკრაინას რუსეთი დაეპატრონება?

– ასე მარტივად არ იქნება, რადგან წინააღმდეგობის რესურსი უკრაინაში არის. ვთქვი კიდეც, სამოქალაქო დაპირისპირების ახალ კერას ქმნის-მეთქი. მცდელობა, დაეპატრონოს უკრაინას, რუსეთს ნამდვილად ექნება. უკრაინელ ხალხსა და მის ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რამდენ ხანს გაძლებენ და აქედან გამომდინარე, შემცირდება რუსეთის შანსები იმიტომ, რომ რუსეთი ცდილობს, ნაკლები მსხვერპლით გააკეთოს ყველაფერი ეს, რათა თავისი ხალხის თვალში მაინც არ ჰქონდეს ოკუპანტის სტატუსი.

– თუ გავითვალისწინებთ ზელენსკის ფიგურას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ცივილიზებული სამყარო მისდამი სიმპატიით, იმედითაა განწყობილი და არც თავად აპირებს უკან დახევას...

– მსოფლიო ცივილიზაციის აზრი ახლა არავის აინტერესებს, მთავარი უკრაინელი ხალხის აზრია.

– ელოდებით თუ არა, რომ ახლო მომავალში, უკრაინას ნატო-ში მიიღებენ?

– არა, ამ სიტუაციაში უკრაინას ნატო-ში არ მიიღებენ, რადგან ამერიკელებს ძალიანაც რომ უნდოდეთ, ევროპის ზოგი ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს არ მოხდეს.

– ბატონო მამუკა, ემუქრება თუ არა საქართველოს საფრთხე რუსეთის მხრიდან?

– დღევანდელ ვითარებაში, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ რუსეთის მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც ფაცი-ფუცი ჩანს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში. თუმცა, გამარჯვებული რუსეთი დღეს თუ არა, უახლოეს მომავალში მაინც მოიცლის არა მარტო საქართველოსთვის, არამედ, ყველა დანარჩენი ქვეყნისთვის, ბალტიისპირეთის გარდა! პირველ რიგში, ეს იქნება საქართველო და ყაზახეთი. ტყუილად ხომ არ გაიქცა ამ ქაოსურ დღეებში ალიევი მოსკოვში და ხელი მოაწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას? – იმიტომ, რომ ხედავდა, რაც ხდებოდა და ამის გამო უნდოდა, გადაერჩინა საკუთარი თავი და ქვეყანა.

– წეღან სეპარატისტული რეგიონები ახსენეთ და ბიბილოვმა გამოაცხადა საყოველთაო მობილიზება. რა პროცესები ვითარდება ახლა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, თქვენი ინფორმაციით?

– ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი. აფხაზეთში დისლოცირებული სატანკო ბატალიონი გადაადგილდებოდა, პირდაპირ მნიშვნელობით, უაზროდ, აქეთ-იქით. დარწმუნებული ვარ, აქტივობის დემონსტრაციას ახდენდნენ. ცხინვალში განსაკუთრებული არაფერი ხდება, გარდა ბიბილოვის ამ განცხადებისა, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით რუსეთის რეალური ამოცანებისა და გეგმების შესახებ. ვიცით, რომ სეპარატისტული რეგიონების ლიდერები მოსკოვში იყვნენ წინა დღეებში და მათ „ინსტრუქტაჟი“ ჩაუტარეს.

– „ინსტრუქტაჟში“ რა იგულისხმება?

– მინდა, დავიჯერო რომ ე.წ. შემაკავებელი განცხადებების გაკეთება და აქტივობები დაავალეს, რომ არაფერი მომხდარიყო საქართველოს მხრიდან. რა უნდა მომხდარიყო საქართველოს მხრიდან, არ ვიცი, მაგრამ მაინც. რომ გითხრათ, დღეს და ხვალ რამე დაიწყება, ამის ნიშნებს ვერ ვხედავ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გამარჯვების შემთხვევაში, რაღაც პროვოკაციას მოგვიწყობენ.

– თქვენი ინფორმაციით, აფხაზები იბრძვიან თუ არა უკრაინის წინააღმდეგ?

– კონსოლიდირებულად, აფხაზური ჯგუფი რომ ერქვას, ასეთი არ არის, მაგრამ მაინც არიან...

გიორგი ვაშაძე: „რუსეთს პირველადი „მადა“ შემცირებული აქვს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

28 თებერვალს, უკრაინა-ბელორუსის საზღვარზე, რუსეთ-უკრაინის ისტორიული მოლაპარაკება გაიმართა. მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ისევ უკრაინაა, სადაც საბრძოლო მოქმედებები არ წყდება. რუსეთი ბომბავს უკრაინის ქალაქებს, იღუპებიან მშვიდობიანი მოქალაქეები, თუმცა უკრაინელი ხალხი საბრძოლო შემართებას არ კარგავს და პრეზიდენტ ზელენსკის მეთაურობით, უკრაინის ხელისუფლება რუსეთის თავდასხმებს წარმატებით იგერიებს. კიევში, დილის 08:00 საათიდან, კომენდანტის საათი გაუქმდა და უკრაინის დედაქალაქის ქუჩებში გადაადგილება შეუზღუდავია. უკრაინაში იმყოფება საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერი, გიორგი ვაშაძე, რომელთან ინტერვიუსაც „ვერსია“ გთავაზობთ.

ექსკლუზიური ინტერვიუ ფრონტის წინა ხაზიდან

– ბატონო გიორგი, რა მოლოდინი გაქვთ რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებაზე?

– არ მაქვს მოლოდინი, რომ ეს მოლაპარაკებები დიდი შედეგით დასრულდება, თუმცა თავისთავად, ის ფაქტი, რომ მოლაპარაკებების მექანიზმი შეიქმნა, სწორი და კარგია.

რა ინფორმაციაც მაქვს, რუსეთს პირველადი „მადა“ შემცირებული აქვს, მას უნდოდა უკრაინაში მთავრობის შეცვლა, ხელისუფლების გადაყენება, პრორუსული ძალების ხელისუფლებაში მოყვანა, ოკუპირებული ტერიტორიების აღიარება, უკრაინის მიერ ნატოზე უარის თქმა. ეს მოთხოვნები შემცირებულია, მაგრამ არ მგონია, იმ დონეზე იყოს, რომ გაიყვანოს ჯარი და უკან დაიხიოს.

სამარცხვინოდ გამოიყურებოდნენ რუსეთის დუმის დეპუტატები უკრაინის დელეგაციის მოლოდინში და მთავარი ისაა, რომ მთელი მსოფლიო გაერთიანდა. მგონი, არ დარჩა ერი და ბერი, ვინც არ გაერთიანდა ამ კატასტროფის წინააღმდეგ და ძალიან იმედიანად ვარ, მაგრამ ემოციები უნდა ვაკონტროლოთ, რადგან საქმე ასე მარტივად არაა.

რუსეთთან, პუტინთან გვაქვს საქმე და, რა თქმა უნდა, ყოველთვის ცივი გონებით უნდა შევხედოთ რეალობას.

ყველაზე მეტად მაწუხებს საქართველოს ბედი. პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ სანქციები არ მუშაობს, არ ვიცი, საიდან მოდის. მთელი მსოფლიო სანქციებს ითხოვს, რუსეთი ჩაკეტილია, ფრენები გაუქმდა, ხალხი გადარიცხვებს ვერ ახერხებს, ბანკები სანქცირებულია, ოლიგარქები, ბიზნესმენები პუტინის წინააღმდეგ არიან და რუსეთში, შეიძლება, მთლიანად „აყირავდეს“ სიტუაცია.

– მნიშვნელოვანია საინფორმაციო ომიც და მორალური, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, აბსოლუტური უპირატესობა უკრაინის მხარესაა. მოვაწერე ხელი თქვენს პეტიციას რუსული პროპაგანდისტული არხების გათიშვის შესახებ, კიდევ რა ინიციატივა გაქვთ?

– რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია. პირველი – რუსული პროპაგანდისტული არხების გათიშვა; მეორე – მსოფლიოს გლობალური პეტიცია, რომლის მოთხოვნაცაა საჰაერო სივრცის დაკეტვა ნატოს მხრიდან რუსეთის მიმართ; მესამე – საუბარი მიდის უკრაინის ევროკავშირში დაჩქარებულ გაწევრიანებაზე და ამას საქართველოც უნდა მიებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რაც არ უნდა გამოვტოვოთ, რადგან ყველაზე მეტად იმის მეშინია, გამწარებული პუტინი რას მოიმოქმედებს საქართველოს მიმართ.

ჩვენ ხომ იმხელა ჯარი არ გვყავს, როგორც უკრაინას და საკმაოდ რთული იქნება წინააღმდეგობის გაწევა. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, ვიაქტიუროთ.

ჯერჯერობით, რასაც ვუყურებ, ხელისუფლების მხრიდან ათი წლის წინანდელი, ერთი და იგივე გზავნილები კეთდება, არადა, სხვანაირი ლიდერობა და ხელმძღვანელობა სჭირდება ახლა სახელმწიფოს, რადგან ბეწვის ხიდზე უნდა გავიაროთ.

არავინ ითხოვს აგრესიულ რიტორიკას, ომის გამოცხადებას, რუსეთთან მიმართებაში განსაკუთრებულ რიტორიკას, ვითხოვთ მხოლოდ და მხოლოდ სამართლიან სოლიდარობას უკრაინელ ხალხთან მიმართებაში, რადგან მარტო არ უნდა დავრჩეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– ამბობთ, ბეწვის ხიდზე გავდივართო და საინტერესოა, სად ხედავთ ამ სიფრთხილის ზღვარს? როგორ უნდა მოიქცეს აღნიშნულ გლობალურ კონტექსტში საქართველო?

– ახლა ვჩქარობ იმიტომ, რომ ჩვენი პარტია ევროპული ლიბერალური ალიანსის წევრია და აქტიურად ვმონაწილეობთ. მე აქ ვარ და მუდმივი კონტაქტი მაქვს უკრაინულ შტაბებთან, ვეხმარებით ქართველების გამოსვლაში, ბევრი მიკავშირდება და რეკომენდაციებს ვაძლევთ. საინფორმაციო ომში ვმონაწილეობთ და ქუჩაში რომ ხალხი მხვდება, იციან, რას ფიქრობს საქართველოში ხალხი და მთავრობა. ყველაფერი იციან, წარმოიდგინეთ, პრემიერმა რომ განცხადება გააკეთა, ეს მალე, მთელ უკრიანას ეცოდინება.

– ბატონო გიორგი, ახლა კიევში იმყოფებით?

– ახლა კიევში არ ვარ, დღეს ჩემს მეუღლეს გამოვუშვებ საქართველოში და დავბრუნდები ცენტრალური მიმართულებით. კიევში მშვიდობაა, სიწყნარეა. ისევ უნდოდათ კიევის აღება, მაგრამ ვერ შეძლეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

– როგორი განწყობაა მოსახლეობაში, აქვთ საბრძოლო სულისკვეთება?

– ქალები და ბავშვები გაჰყავთ საზღვარგარეთ, მამაკაცები დგანან შეიარაღებულები და იცავენ თავიანთ ქალაქებს, ყველა მუშაობს აგენტურული ქსელების გამოვლენაზე. ხომ ხედავთ, ტანკებთან მიდიან პირდაპირ და რუსებს შიშველი ხელებით ეწინააღმდეგებიან. განწყობა საომარია, ფსიქოლოგიურად ძალიან მყარადაა უკრაინული მხარე.

დომენიკ მანგო და მისი რაზმი უკრაინაში გაემგზავრა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

კუკური ბარამიძის, იგივე, დომენიკ მანგოს ინიციატივით, უკრაინაში საქართველოდან მოხალისეთა ჯგუფი გაემგზავრა. „ვერსია“ დომენიკ მანგოს გზაში დაუკავშირდა:

„საბრძოლო გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ დაჭრილებს მოვუვლი“

– რამდენი ადამიანი მიემგზავრებით უკრაინაში?

– 50 ვართ და კიდევ გვემატებიან გზაში.

– სოციალურ ქსელში წერდით, რომ ზოგი საბრძოლველად მიდიხართ, ზოგი – დასახმარებლად. როგორ გაქვთ ფუნქციები განაწილებული?

– ზოგს აქვს გამოცდილება, ყოფილი მეომარია, ზოგი – ლეიტენანტი. მე, მაგალითად, არ მაქვს საბრძოლო გამოცდილება და ვაპირებ, დაჭრილებთან ვიმუშაო. არიან გოგონები, რომლებიც გააკეთებენ საჭმელს. მოკლედ, კვალიფიკაციის მიხედვით გადავნაწილდებით.

– უკრაინაში შესვლის პრობლემა არ გექნებათ?

– როგორც გავარკვიე, პრობლემა არ გვექნება შესვლასთან დაკავშირებით.

– მნიშვნელოვანია, ვინ დაგეხმარათ ფინანსურად იმისთვის, რომ მობილიზება გაგეკეთებინათ?

– ხალხი და ავტობუსით – კომპანია „ომნიბუსი“, რომელმაც მთელი მარშრუტი დაგვიფინანსა, გვერდში გვიდგას და უმნიშვნელოვანეს საქმეს გვიკეთებს. ამის გარეშე, ძალიან გაგვიჭირდებოდა.

– სპონტანურად მიიღეთ უკრაინაში წასვლის გადაწყვეტილება?

– როცა გავრცელდა ის ვიდეო, ბავშვი რომ ველოსიპედით გამოდის ქუჩაში და ბომბი ვარდება, იმ მომენტში გავაცნობიერე, რატომ უნდა ვიჯდე სახლში კომფორტულად, როცა შემიძლია, უკრაინის მოსახლეობას რაღაცით დავეხმარო-მეთქი. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ახლა ჩემთან ერთად არიან და ზუსტად იგივე სულისკვეთებით მოდიან უკრაინაში.

– როგორც თქვით, ყოფილი სამხედროებიც არიან თქვენ შორის და ისინი უკრაინაში ბრძოლას აპირებენ?

– რა თქმა უნდა, იარაღს დაიჭერენ და იბრძოლებენ, მაღალი კვალიფიკაციის ადამიანები არიან...

– ამბობთ, რომ ხალხი დაგეხმარათ გამგზავრების ორგანიზებაში. რამდენად მასშტაბური იყო ხალხის მხარდაჭერა?

– ძალიან დიდი. წამოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე დავაანონსე, გაგვაცილეთ-მეთქი და იმ მცირე ხანში შეიკრიბნენ ადამიანები, რომ გავეცილებინეთ. ფინანსური, მორალური მხარდაჭერა ვიგრძენით, ყველა რაღაცას გვთავაზობს.

– ახლა, როცა ომში მიემგზავრებით, როგორი განწყობა გაქვთ?

– ძალიან ამაღლებული! საერთოდ, არ ვფიქრობთ, რომ შეიძლება, სადმე ავფეთქდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ვაცნობიერებთ, სადაც მივდივართ. ბედნიერები ვართ და ამაღლებული განწყობით მივემგზავრებით.

– ღმერთი გფარავდეთ და მშვიდობით დაგვიბრუნდით!

დაბლოკილები

ვინ არიან „შავ სიაში“ შეყვანილი რუსები და კონკრეტულად რა სანქციები დაუწესეს აშშ-მ და ევროკავშირმა რუსეთს

მაკა რუხაძე

24 თებერვალს, დილით, რუსეთის პრეზიდენტი უკრაინაში შეიჭრა. მართალია, მასშტაბურ სამხედრო აგრესიას პუტინმა „უკრაინის დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია“ უწოდა, მაგრამ სამაგიეროდ, დასავლეთი – აშშ, ევროკავშირი, დიდი ბრიტანეთი გაერთიანდა და რუსეთის ინტერვენციას უმკაცრესი ფინანსური სანქციებით უპასუხა. მეტიც, ნეიტრალურმა შვეიცარიამაც კი „დაარღვია“ საკუთარი ნეიტრალიტეტი და სანქციებს შეუერთდა. სანქციები ორშაბათიდან, 28 თებერვლიდან ამოქმედდა. სხვათა შორის, უკრაინაში შეჭრის გამო, ეს დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების პირველი შემთხვევა არაა. სანქციები რუსეთს 2014 წელსაც დაუწესეს, მაგრამ არც ასე მკაცრი და არც ასეთი მასშტაბური ყოფილა.

მოკავშირეების „ყვითელი ბარათი“

აშშ-მა და ევროკავშირმა რუსეთის პრეზიდენტი ჯერ კიდევ უკრაინაში შეჭრამდე გააფრთხილეს და „ყვითელი ბარათი“ უჩვენეს. შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი აცხადებდა, რომ ომის შემთხვევაში, აშშ რუსეთის ფინანსური ინსტიტუტების ნაწილს სანქციებს დაუწესებდა. მას შემდეგ, რაც პუტინი უკრაინაში შეიჭრა, ბაიდენმა სანქციების „პირველი ტრანში“ აამოქმედა, რაც რუსეთის ორ ფინანსურ ინსტიტუტსა და რუსეთის სუვერენულ ვალს შეეხო. ამის შემდეგ, აშშ-მა სანქციები მოსკოვის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებსა და მათი ოჯახის წევრებსაც დაუწესა.

„ჩვენ ვახორციელებთ სრული დაბლოკვის სანქციების ორ დიდ რუსულ ფინანსურ ინსტიტუტზე: რუსეთის სახელმწიფო განვითარების კორპორაციასა – VEB („ვნეშეკონომბანკი) და მათ სამხედრო ბანკზე („პრომსვიაზბანკი“); ჩვენ ვახორციელებთ ყოვლისმომცველ სანქციებს რუსეთის სუვერენულ ვალზე – ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მოვწყვეტთ რუსეთის მთავრობას დასავლური დაფინანსებისგან. ის ვეღარ შეძლებს ფულის მოზიდვას დასავლეთიდან; ჩვენ დავაწესებთ სანქციებს რუსეთის ელიტისა და მათი ოჯახის წევრებზე – ისინი იზიარებენ კრემლის პოლიტიკის კორუფციულ მიღწევებს და უნდა გაიზიარონ ტკივილიც; ჩვენ ვიმუშავეთ გერმანიასთან, რათა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ წინ არ წავიდეს“, – განაცხადა ჯო ბაიდენმა.

ვიდრე ევროკავშირში სანქციებზე მსჯელობდნენ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ბორის ჯონსონმა სანქციები დაუწესა ხუთ რუსულ ბანკს. რაც მთავარია, პერსონალური სანქციები დაუწესა პუტინის უახლოესი გარემოცვის წევრებს – ძმებ როტენბერგებს და გენადი ტიმჩენკოს, ხოლო საფეხბურთო კლუბ ლონდონის „ჩელსის“ მფლობელს, რუს მილიარდერ აბრამოვიჩს ქონება დაუყადაღა. ჯონსონმა რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის და ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვისთვის პირადი სანქციები აამოქმედა. მეტიც, დიდი ბრიტანეთი SWIFT-ის პროგრამიდან რუსეთის გათიშვასაც ემხრობა.

რა არის SWIFT-ი? – ესაა ბანკთაშორისი გადახდის საერთაშორისო სისტემა. SWIFT-დან რუსეთის გათიშვა გამოიწვევს ეკონომიკის 5-10%-ით ვარდნას; ექსპორტის 30-50%-ით შემცირებას; დეპოზიტებისა და სხვა სავალუტო სახსრების მნიშვნელოვან გადინებას და რაც მთავარია, გაცვლითი კურსის მნიშვნელოვან გაუფასურებას.

აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ, სანქციები ევროკავშირმაც გაამკაცრა. ევროპული სანქციები ექვს ძირითად სფეროს შეეხო: ფინანსურ სექტორს; ენერგეტიკის სექტორს; სატრანსპორტო სექტორს; ორმაგი დანიშნულების საქონლისა და ექსპორტის დაფინანსებას; სავიზო პოლიტიკას; სანქციების სიაში შეყვანილი დამატებითი პირებისა და სანქციების სიების ახალ კრიტერიუმებს.

ევროკომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, ევროკავშირის მიერ უკვე სანქცირებული კომერციული ბანკები SWIFT-დანაც ჩაიხსნებიან. საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო გადარიცხვების სისტემიდან გაითიშებიან ჯერ კიდევ არასანქცირებული რუსული ბანკებიც. გარდა ამისა, ევროკავშირი აპირებს, დაბლოკოს რუსი ოლიგარქების აქტივები და ევროპის ბაზრებზე კაპიტალის ოპერაციებიც შეუზღუდოს. რაც მთავარია, ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება გაყინოს რუსეთის ცენტრალური ბანკის აქტივები.

ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, რუსეთის ცენტრალური ბანკის საერთაშორისო რეზერვების ჯამური მოცულობა 643 მილიარდი აშშ დოლარია. ეს თანხა წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივის სახით სხვადასხვა ვალუტასა და ოქროს რეზერვში. ცხადია, სანქციების შედეგად, ეს თანხა გაიყინება, მაგრამ სპეციალისტების შეფასებით, ამ დროისთვის უცნობია, რა აქტივების გადატანა მოასწრო რუსეთის მთავარმა ბანკმა ბოლო თვეების განმავლობაში გაზრდილი საფრთხის ფონზე.

სხვათა შორის, რუსეთის ცენტრალური ბანკის აქტივების გაყინვა პირველი პრეცენდენტია, როდესაც მსოფლიოს 20 უმსხვილეს ეკონომიკაში შემავალი ქვეყნის ეროვნული ბანკის რეზერვები დაბლოკეს. აქამდე დასავლეთმა სულ რამდენიმე ქვეყნის – ირანის, ვენესუელის, სირიისა და ავღანეთის ეროვნული ბანკების აქტივები გაყინა. ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, ამ ზომების შემდეგ, რუსეთის ექსპორტ-იმპორტიც დაიბლოკება.

ევროპის „შავი სია“ – ბიზნესი და პოლიტელიტა

სუვერენული ვალის შეზღუდვა – სანქციები შეეხება რუსეთის სუვერენულ ანუ ქვეყნის საგარეო ვალს, რაც გადაჭრის შემოსავლების წყაროებს რუსეთის მთავრობის ან პრეზიდენტ პუტინის პრიორიტეტების დასაფინანსებლად.

ფინანსური სექტორი – ამ სფეროში შეზღუდვები ფინანსურ თანამშრომლობას კრძალავს რუსეთის ხუთ უდიდეს ბანკთან, კერძოდ, „სბერბანკთან“, „ვნეშტორგბანკთან“ (VTB), „გაზპრომბანკთან“, „როსსელხოზბანკთან“ და „ვნეშეკონომბანკთან“ (VEB); იკრძალება რუსეთის სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი საწარმოების დაფინანსება; იკრძალება ფინანსების მიმოქცევა და ინვესტიციები რუსეთიდან ევროკავშირში – საქმე ეხება 100 000 ევროზე მეტ თანხას.

ტრანსპორტი – ამ სფეროში სანქციების მთავარი მიზანია ექსპორტის აკრძალვა ავიაციის, კოსმოსისა და მათთან დაკავშირებული სფეროებისთვის. ეს ზომები ეხება თვითმფრინავების ლიზინგსა და მსგავს სერვისებს.

ორმაგი დანიშნულების საქონლისა და ექსპორტის დაფინანსება – ეს ნიშნავს ამ სფეროს ჩამონათვალის გაფართოებას. გათვალისწინებულია იმ კომპანიების სიის გაზრდა, რომლებიც ორმაგი დანიშნულების საქონლის საბოლოო მომხმარებლები არიან. სანქციები არ ეხება მხოლოდ სამხედრო სფეროში მოქმედ კომპანიებს, გაიზრდება აკრძალული საქონლის ჩამონათვალიც.

სავიზო პოლიტიკა – ეს ნიშნავს უვიზო მოგზაურობის უფლების გაუქმებას რუსეთის დიპლომატიური პასპორტების მფლობელთათვის და გამარტივებული სავიზო პროცედურების გაუქმებას მათთვის, რომლებსაც სამუშაო პასპორტები აქვთ.

დასასრული მე-6 გვერდზე

მე-5 გვერდიდან

სანქციების სიაში შეყვანილი დამატებითი პირები და სანქციების სიების ახალი კრიტერიუმები – სანქციების სიაში დამატებით იმ პირებსაც შეიყვანენ, რომლებიც ძირს უთხრიან უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას ან მოგებას ნახულობენ მიმდინარე აგრესიიდან. ეს ნიშნავს, რომ სანქციები შეეხება რუსეთის სახელმწიფო დუმის ყველა წევრს, რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრებს, ასევე, ბელარუსის მოქალაქეებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს უკრაინაში რუსეთის ჯარების შეჭრას.

ახლა უფრო დეტალურად განვიხილოთ, რას ნიშნავს ევროკავშირის სანქციები – პირველ რიგში, ევროკავშირში გადაადგილების შეზღუდვა. მეტიც, ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებული ანგარიშებისა და ქონების გაყინვას. ახლა, სფეროების მიხედვით ჩავშალოთ, ვის შეეხება ეს აკრძალვა:

თავდაცვა – სერგეი შოიგუს, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრს; ანტონ ვაინოს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს; მარატ ხუსნულინს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს მშენებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტში; დიმიტრი გრიგორენკოს, რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის აპარატის უფროსს, რომელიც VTB-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა; მაქსიმ რეშეტნიკოვს, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების მინისტრს, რომელიც ვითიბი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია და ასოცირებულია ვითიბი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან, დიმიტრი გრიგორენკოსთან; ადმირალ ნიკოლაი ევმენოვს, რუსეთის ფედერაციის საზღვაო ძალების მთავარსარდალს; სანქციები შეეხება ვიცე-ადმირალ ვლადიმირ კასატონოვს, რუსეთის ფედერაციის საზღვაო ძალების მთავარსარდლის მოადგილეს; ადმირალ იგორ ოსიპოვს, შავი ზღვის ფლოტის მეთაურს; არმიის გენერალ ოლეგ საიუკოვს, რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალს; არმიის გენერალ სერგეი სუროვიკინს, რუსეთის საჰაერო კოსმოსური ძალების მთავარსარდალს; გენერალ-ლეიტენანტი სერგეი დრონოვს, რუსეთის ფედერაციის საჰაერო ძალების მეთაურსა და საჰაერო და კოსმოსური ძალების მთავარსარდლის მოადგილეს.

კომერციული ბანკები – „როსია"; „ვნეშეკონომბანკი" (VEB); „პრომსვიაზბანკი" (PSB). სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ ბანკი „როსია" რუსეთის ფედერაციის უმაღლესი თანამდებობის პირების „პირადი" ბანკია. მას იყენებენ ძალაუფლების მქონე ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ყირიმის ანექსიასა და აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაციაზე. ბანკ „როსიას" აქვს მნიშვნელოვანი აქციები ეროვნულ მედიაჯგუფში, რომელიც, თავის მხრივ, აკონტროლებს რუსულ პროპაგანდისტულ ტელევიზიებს. ყირიმის უკანონო ანექსიის შემდეგ, ბანკმა „როსიამ" ყირიმსა და სევასტოპოლში ფილიალები გახსნა;

„ვნეშეკონომბანკი" (VEB), 53 მილიარდი დოლარის აქტივების პორტფელის მფლობელია და რუსეთის ფინანსური ინსტიტუტების პირველ ხუთეულში შედის. სწორედ ის აფინანსებს რუსეთის ეროვნულ ეკონომიკურ განვითარებას, მათ შორის, ფართომასშტაბიან პროექტებს შიდა ინფრასტრუქტურისა და სხვა ინდუსტრიების განვითარების მიზნით.

„პრომსვიაზბანკი" (PSB) რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და რუსეთის თავდაცვის სექტორს აფინანსებს. ის ემსახურება რუსეთის თავდაცვის კონტრაქტების თითქმის 70%-ს. საგარეო აქტივების კონტროლის სამსახურმა სანქციები დაუწესა PSB-ის კუთვნილ ხუთ გემს, რომლებიც დაყადაღებულია. კერძოდ, Baltic Leader – რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი სატვირთო გემი; Linda – რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი ნედლი ნავთობის ტანკერი; Pegas – რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი ნედლი ნავთობის ტანკერი; Fesco Magadan – რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი საკონტეინერო გემი; Fesco Moneron რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი საკონტეინერო გემი.

დაბლოკილები

ვინ არიან „შავ სიაში" შეყვანილი რუსები და კონკრეტულად რა სანქციები დაუწესეს აშშ-მ და ევროკავშირმა რუსეთს

ბიზნესი – სანქციები შეეხო ანდრეი კოსტინს, რუს ბანკირსა და ფინანსისტს, „ვნეშტორბანკის" (VTB) მმართველი საბჭოს დირექტორს. სხვათა შორის, ვითიბი საქართველოშიც ოპერირებს და ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებულია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე, სერგეი სტეპანოვია. ანდრეი კოსტინი პოლიტიკური პარტია „ერთიანი რუსეთის" (Единая Россия) უმაღლესი საბჭოს წევრია. გარდა ამისა, კოსტინი ყირიმში ღვინის ქარხანასა და მდიდრულ სასტუმროსაც ფლობს; იგორ შუვალოვი – სახელმწიფო განვითარების კორპორაცია VEB.RF-ის თავმჯდომარე და ევრაზიის ეკონომიკური კომისიის საბჭოს წევრია.

მასმედია – მარგარიტა სიმონიანი, პროპაგანდისტული ინგლისურენოვანი ტელეარხის, RT-ის (Russia Today) მთავარი რედაქტორი;

მარია ზახაროვა – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის განყოფილების ხელმძღვანელი; ვლადიმირ სოლოვიოვი – პროპაგანდისტი ჟურნალისტი; ინტერნეტის კვლევის სააგენტო – „ტროლების ფაბრიკა"; კონსტანტინ ჩერნიკი – პროპაგანდისტული News Front-ის რუსული ბიუროს ხელმძღვანელი; ალექსეი პუშკოვი – რუსეთის ფედერაციის საბჭოს საინფორმაციო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე, ტელეშოუ „პოსკრიპტუმის" წამყვანი; პიოტრ ტოლსტოი – რუსეთის დუმისა და PACE -ს წევრი, ტელეშოუს წამყვანი; ამავე სიაშია რუსეთის დუმის 251 დეპუტატი.

პუტინთან დაახლოებული ოჯახები

აშშ-მა და ევროკავშირმა მკაცრი სანქციები დაუწესა პუტინის გარემოცვას. ეს სია დენის ბორტნიკოვით იწყება, რომელიც რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის (ფსბ) დირექტორის, ალექსანდრე ბორტნიკოვის შვილია. დენის ბორტნიკოვი ახლა რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფინანსური ინსტიტუტის ვითიბი ბანკის საჯარო სააქციო საზოგადოების პრეზიდენტის მოადგილე და ბანკის მართვის საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ.

პიოტრ ფრადკოვი – რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და საგარეო დაზვერვის სამსახურის ყოფილი დირექტორის, მიხაილ ფრადკოვის შვილია. ის „პრომსვიაზბანკის" (PSB) თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორია. პიოტრ ფრადკოვი სააქციო საზოგადოება „რუსულ საექსპორტო ცენტრსაც" ხელმძღვანელობს. ეს ცენტრი, როგორც VEB-ის შვილობილი კომპანია, უკვე დაბლოკილია.

სანქციები შეეხო ევგენი პრიგოჟინს, ვლადიმირ პუტინთან დაახლოებულ ბიზნესმენს, მეტსახელად, „კრემლის მზარეულს". სხვათა შორის, პრიგოჟინი ცნობილი კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერ" ჯგუფის მფლობელია. პრიგოჟინის დაფუძნებულია კომპანია Concord-ი, რომელსაც 2019 წლის ნოემბრამდე ფლობდა და მასთან დაკავშირებული სხვა კომპანიების ჯგუფიც, მათ შორის, Concord Management and Consulting LLC და Megaline LLC. ეს ჯგუფი იღებს და ასრულებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებულ დიდ სახელმწიფო კონტრაქტებს, რომლებიც ემსახურება ყირიმის ანექსიას და მხარს უჭერს რუს სეპარატისტებს უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე; ვიოლეტა პრიგოჟინა – ევგენი პრიგოჟინის დედა, რომელიც Concord Group-ის საკუთრებაში არსებული შპს Concord Management and Consulting-ის მფლობელია; ლიუბოვ პრიგოჟინა – ევგენი პრიგოჟინის მეუღლე, შპს Agat-ის მფლობელია, რომელიც შპს Concord Management and Consulting-ის შვილობილი კომპანია გახლავთ.

ვლადიმერ კირიენკო – რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილის, სერგეი კირიენკოს შვილია. ის VK Group-ის ანუ რუსეთის უმსხვილესი სოციალური ქსელის – ВКонтакте მფლობელი და აღმასრულებელი დირექტორია. ვლადიმირ კირიენკო ადრე მუშაობდა ვიცე-პრეზიდენტად რუსეთის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად კომპანია Rostelecom-ში.

ამ პირების საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი, ქონება, რომელიც არის შეერთებულ შტატებში, ან აშშ-ის პირების მფლობელობაში ან მართვაში, დაბლოკილია.

სანქციებს მთელი მსოფლიო შეუერთდა

დავიწყოთ ჩინეთით, სადაც ორი უმსხვილესი ბანკი რუსული საქონლის შეძენის ფინანსირებას წყვეტს. ჩინეთის გარდა, მკაცრ სანქციებს კანადაც შეუერთდა. კანადის პრემიერ-მინისტრის, ჯასტინ ტრუდოს განცხადებით, უმკაცრეს სანქციებს დაუწესებენ პუტინს, მისი ადმინისტრაციის უფროსსა და საგარეო საქმეთა მინისტრს.

გარდა ამისა, კანადა სანქციებს დაუწესებს ბელარუსსა და მის ლიდერებსაც, რადგან ისინი პუტინის უკრაინის შეჭრას ხელს უწყობდნენ. ტრუდოს განცხადებით, კანადა მხარს უჭერს რუსეთის ამოღებას SWIFT-დან.

საყოველთაო სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ ნეიტრალური შვეიცარიაც შეუერთდა. მეტიც, შვეიცარიამ ფინანსური სანქციები დაუწესა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, პრემიერ-მინისტრს მიხაილ მიშუსტინსა და საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს.

შვეიცარიის იუსტიციის მინისტრმა, კარინ კელერ-სატერმა განაცხადა, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა პუტინთან დაახლოებულ ხუთ ოლიგარქს, თუმცა მათი ვინაობა არ დაასახელა.

„რია ნოვოსტის" ინფორმაციით, ბულგარეთმა, პოლონეთმა და ჩეხეთმა რუსულ ავიაკომპანიებს მათი ქვეყნების საჰაერო სივრცეები ჩაუკეტა.

როგორ გახდა თურქული წარმოშობის ამერიკელი ბრიტანეთის პრემიერი

უცნობი ფაქტები ბორის ჯონსონის ცხოვრებიდან

ირუსა ხავთასი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, საქართველოს დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა კარგად ახსოვს. განსაკუთრებით, საგარეო საქმეთა მინისტრის, დევიდ კემერონის ხისტი, არადიპლომატიური და რადიკალური პოზიცია სერგეი ლავროვისა და რუსეთის მიმართ. რამდენიმე დღეა, მსოფლიო ყურადღებით ადევნებს თვალს უკრაინაში მიმდინარე ომს, აკვირდება სხვადასხვა ქვეყნის ლიდერის გამოსვლასა და რეაქციას. ევროპაში მოსალოდნელი ომის შესახებ, თავიდანვე, განსაკუთრებით მკაცრი პოზიცია ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონს ჰქონდა, რომელმაც საქართველოშიც ბევრი ადამიანის აღფრთოვანება გამოიწვია. გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, ევროპელი ექსპერტები დიდხანს მსჯელობდნენ, ვინ დაიკავებდა ევროპის ახალი ლიდერის ადგილს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის წევრი აღარაა და ამ კავშირის წევრი ქვეყნების ლიდერთა პოზიციებს, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება კიდეც, ყველასთვის გასაოცრად, უკრაინაში განვითარებულმა პროცესებმა, ბუნებრივად, ევროპის ახალი ლიდერის დაბადების მოწმენი გაგვხადა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ექსპერტი ამ პოზიციას ემანუელ მაკრონს უწინასწარმეტყველებდა, მან ვერ შეძლო ქარიზმატული, ექსცენტრიული და არაორდინალური ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჩანაცვლება. ვინ არის ბორის ჯონსონი, როგორ მოვიდა პოლიტიკაში და რა გზა გაიარა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრობამდე?

ბორის ჯონსონი 1964 წლის 19 ივნისს, აშშ-ის ქალაქ ნიუ იორკში დაიბადა. ბორისი ამერიკელია, რომელსაც თურქულ-ჩერქეზული ფესვები აქვს, მისი დიდი ბებია ჩერქეზი იყო, დიდი ბაბუა ალი ქემალი კი – თურქი, რომელიც დიდხანს მსახურობდა ჟურნალისტად, შემდეგ კი აჰმედის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეზირი იყო. ალიმ დააკავა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ქემალ ათათურქი. ქემალის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მან ბრძანა ალის დაპატიმრებაც, მოგვიანებით კი, ჯონსონის დიდი ბაბუა სიკვდილით დასაჯეს. სწორედ ამ მოვლენებმა გამოიწვია ჯონსონის ბაბუის ემიგრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პრემიერის მამა, სტენლი ჯონსონი საკმაოდ პატივსაცემი ადამიანი გახლდათ. მისი ევროპაში გარემოს დაცვის კომისრად დანიშვნის შემდეგ, ოჯახი საცხოვრებლად ბრიუსელში გადავიდა, სადაც ბორისი სკოლაში შევიდა. ამის შემდეგ, მან ეტონის კოლეჯში სტიპენდია მოიპოვა, შემდეგ კი ოქსფორდის უნივერსიტეტი ფილოლოგიის განხრით დაამთავრა. სწორედ ოქსფორდში სწავლისას დაიწყო მეორე სახელის – ბორისის უფრო მეტად გამოყენება (ბავშვობის სახელი ალექსანდერია). ეს „ექსცენტრიული ბრიტანული“ ბიჭის სახელით დასამკვიდრებლად სჭირდებოდა. იხსნებენ, რომ სტუდენტობის დროს იყო ზარმაცი და ყოველთვის იგვიანებდა ლექციებზე, თუმცა ძალიან პოპულარული გახლდათ და საკმაოდ ბევრი მეგობარიც ჰყავდა.

1987 წლის სექტემბერში, ჯონსონი ალეგრა მოსტინ-ოვენ-ზე დაქორწინდა. ცერემონიას აკომპანიმენტს უწევდა ცნობილი გერმანელი კომპოზიტორის, ჰანს ვერნერ ჰენზის მიერ სპეციალურად ამ ქორწილისთვის შეკვეთილი ორი ვიოლინოს დუეტი, რომელსაც Allegra e Boris ჰქვია. თაფლობის თვის ეგვიპტეში გატარების შემდეგ, ჯონსონმა გადაწყვიტა, მენეჯმენტის კონსულტანტად დაეწყო მუშაობა, თუმცა ერთ კვირაში წამოვიდა სამსახურიდან. ამის შემდეგ, ჯონსონმა დაიწყო ჟურნალისტური კარიერა. 1987 წელს, The Times-ის ჟურნალისტი გახდა, თუმცა სამსახურიდან ციტატის გაყალბების გამო გაათავისუფლეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჯონსონმა დაწერა სტატია მეფე ედუარდ II-ის სასახლის არქეოლოგიურ აღმოჩენაზე და მოიყვანა გამოგონილი ციტატა, რომელიც ისტორიკოს კოლინ ლუკასს, მის ნათლიას მიაწერა. ამ სკანდალის შემდეგ, მუშაობა Daily Telegraph-ში დაიწყო, სადაც მუშაობდა კორესპონდეტად, ევროკავშირში მომხდარ თემაზე (1989-94), რის შემდეგაც, რედაქტორის თანაშემწე (1994–99) გახდა. 1994 წელს, ჯონსონი პოლიტიკური მიმომხილველი ხდება The Spectator-ში, 1999 წელს კი – ამ ჟურნალის რედაქტორი გახლდათ და თანამდებობას 2005 წლამდე იკავებდა.

1990 წლის თებერვალში, ჯონსონი მეუღლეს დაშორდა. შერიგების რამდენიმე მცდელობის შემდეგ, მათი ქორწინება, 1993 წლის აპრილში, განქორწინებით დასრულდა. ამის შემდეგ ჯონსონმა დაიწყო ურთიერთობა ბავშვობის მეგობართან, მარინა უილერთან, რომელიც 1990 წელს, მასთან ბრიუსელში გადავიდა, საბოლოოდ კი, 1993 წლის მაისში იქორწინეს – პირველ მეუღლესთან განქორწინებიდან 12 დღის შემდეგ. წყვილს მალევე შეეძინა ქალიშვილი და ლონდონში გადავიდნენ საცხოვრებლად, სადაც კიდევ სამი შვილი შეეძინათ. წყვილმა გადაწყვიტა, შვილებისათვის გვარი ჯონსონ-უილერი ჩაეწერა. მათ სწავლა ადგილობრივ Canonbury-ის დაწყებით სკოლაში დაიწყეს და შემდეგ – კერძო საშუალო სკოლებში გააგრძელებს.

ჯონსონის ყველა ნაცნობი აღნიშნავდა, რომ ის გასაკუთრებით ბევრ დროს უთმობდა შვილებსა და მათ აღზრდას.

2001 წელს, ბორის ჯოსნონმა გადაწყვიტა, თავისი ძალები პოლიტიკურ ასპარეზზე მოესინჯა და საპარლამენტო არჩევნებში, საკუთარი კანდიდატურა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ წარმომადგენლად დააყენა. 2005 წელს, კვლავ შევიდა პარლამენტში და მისი წევრი იყო 2008 წლამდე.

2000-დან 2004 წლამდე, ჯონსონს რომანი ჰქონდა გაზეთ Spectator-ის მიმომხილველ პეტრონელა უაიტთან, როდესაც ამავე გაზეთის რედაქტორად მუშაობდა. გავრცელებული ინფორმაციით, ურთიერთობას მოჰყვა ერთი აბორტი და ერთი ნაადრევად შეწყვეტილი ორსულობა. 2006 წლის აპრილში, გაზეთმა News of the World კი განაცხადა, რომ ჯონსონს რომანი ჰქონდა ჟურნალისტ ანა ფაზაკერლისთან; წყვილს ამის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ, ფაზეკლერმა ჯონსონთან დაიწყო მუშაობა. 2009 წელს, ჯონსონს, ხელოვნების კონსულტანტ ჰელენ მაკენტაირთან ქალიშვილი შეეძინა. დიდი ხნის განმავლობაში, საზოგადოებაში ბევრი ჭორი დადიოდა ჯონსონის სხვა შვილების შესახებ, თუმცა პრემიერ-მინისტრმა არ დაადასტურა.

დასასრული მე-8 გვერდზე

როგორ გახდა თურქული წარმოშობის ამერკელი ბრიტანეთის პრემიერი

უცნობი ფაქტები ბორის ჯონსონის ცხოვრებიდან

მე-7 გვერდიდან

პარლამენტში ვადის ამოწურვის შემდეგ, ჯონსონი მონაწილეობდა ლონდონის მერის არჩევნებში, ასევე, კონსერვატიული პარტიიდან. კენჭისყრის პირველ ტურში, ხმების 43% მიიღო, მეორე ტურში კი 53%-ით დაამარცხა ოპონენტი. როგორც მერმა, მან ქალაქის ძირითად პრობლემებად განსაზღვრა საცობების, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ველოტრანსპორტის პოპულარიზაცია. 2012 წელს, ხალხმა ხელახლა აირჩია და კიდევ ოთხი წელი დარჩა მერად. 2015 წელს, ლონდონის მერის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, ჯონსონმა ისევ მიიღო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა და დაბრუნდა პარლამენტში. ამ პერიოდში განიხილებოდა დიდი ბრიტანეთისთვის ბოლო პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი – ბრექსიტის საკითხი, რასაც ჯონსონი მთლიანად ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა. 2016 წელს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას შეუდგა ტერეზა მეის მთავრობაში, მაგრამ ორი წლის შემდეგ, ნებაყოფლობით გადადგა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის გაუგებრობის გამო.

2018 წლის სექტემბერში, ჯონსონმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოსახლეობას უილერთან განქორწინების შესახებ შეატყობინა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ 25-წლიანი ქორწინების შემდეგ, ისინი რამდენიმე თვის წინ დაშორდნენ. განქორწინების პროცესი, საბოლოოდ, 2020 წლის ნოემბერში დასრულდა.

2019 წელს, ჯონსონმა ცხოვრება დაიწყო კერი საიმონდსთან. 2020 წლის 29 თებერვალს, წყვილმა ნიშნობის შესახებ შეატყობინა მოსახლეობას და აცნობა, რომ პირველ საერთო შვილს ზაფხულის დასაწყისში ელოდებოდნენ. ვილფრედ ლორი ნიკოლას ჯონსონი 29 აპრილს დაიბადა. 2021 წლის 29 მაისს, ჯონსონი ოფიციალურად დაქორწინდა საიმონდსზე, 30 სტუმრის თანდასწრებით. 2021 წლის ივლისში, წყვილმა საზოგადოებას შეატყობინა მეორე ორსულობის შესახებ, თუმცა კერის მუცელი მოეშალა. მიუხედავად ამ ტრაგედიისა, 2021 წლის 9 დეკემბერს, მათ შეეძინათ გოგონა – რომი აირის შარლოტ ჯონსონი.

2019 წელს, ტერეზა მეის გადადგომის შემდეგ, ჯონსონმა დაიკავა კონსერვატიული პარტიის ლიდერის თანამდებობა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაინიშნა. პრემიერად არჩევიდან რამდენიმე თვეში, ჯონსონმა ბრიუსელთან ბრექსიტის თაობაზე მოლაპარაკებები დაასრულა და სწორედ მისი პრემიერობის დროს მივიდა ეს პროცესი საბოლოო წერტილამდე. 2019 წლის 12 დეკემბერს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა, რომელშიც კონსერვატიულმა პარტიამ გაიმარჯვა და ხალხმა მხარდაჭერა გამოუცხადა ლოზუნგს – „Get Brexit Done“ („მიიყვანე ბრექსიტი ბოლომდე“).

ამის შემდეგ, ჯონსონს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევის გადალახვა მოუხდა, რაც კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ბევრად უკეთესი სიტუაციაა და ადამიანები ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდებიან, კორონავირუსის გამო, ბრიტანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მძიმედ დაზარალებული ქვეყანა აღმოჩნდა – სიკვდილანობის მონაცემმა ასი ათასს გადააჭარბა. ამის გამო, პრემიერის მიღებულ გადაწყვეტილებებს ბრიტანეთში, დღემდე, საკმაოდ ბევრი ადამიანი აკრიტიკებს. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ჯონსონი მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია, რომელმაც კორონავირუსი ძალიან მძიმედ გადაიტანა – საავადმყოფოში საკმაოდ დიდხანს მოუხდა ყოფნა, რის გამოც ქვეყნის მართვასაც გამოეთიშა.

2022 წელს, ბორის ჯონსონი ევროპის ერთ-ერთი პირველი ლიდერი იყო, რომელმაც დაუჭირა მხარი უკრაინას და მისი დახმარება გადაწყვიტა. ამასთან, ჯონსონი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც რუსეთს საკმაოდ მკაცრი სანქციები დაუწესა და დააყადაღა ყველა იმ რუსი ბიზნესმენის ქონება, რომლებიც ამ დრომდე, ლონდონში ცხოვრობენ. სანქცია შეეხო „ჩელსის“ გუნდის მფლობელ რუს ბიზნესმენ რომან აბრამოვიჩსაც.

ჯონსონი იყო ერთ-ერთი გამორჩეული ევროპელი ლოდერი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ, მსოფლიოს პუტინის გეგმების შესახებ შეატყობინა. სამწუხაროდ, მისი პროგნოზი გამართლდა.

„ვშიშობ, გეგმა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, განკუთვნილია რაღაც ისეთისთვის, რაც შესაძლოა, ნამდვილად გახდეს უდიდესი ომი, 1945 წლის შემდეგ ევროპაში, მხოლოდ მასშტაბების თვალსაზრისით“, – ამბობდა ჯონსონი.

სამართალი

№8 2 მარტი 2022 წ

ოკუპანტის ახალი თავსატეხი – რუსეთს „კანონიერი ქურდები“ შეესივნენ

ბათო ჯაფარიძე

შეგვიძლია, რუსეთ-უკრაინის ომი 21-ე საუკუნის ყველაზე დიდ დაპირისპირებად მოვნათლოთ. ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოს რუსეთი ებრძვის და ამ ომმა უკვე ათასობით სიცოცხლე შეიწირა. რაც ყველაზე გულსატკენია, დაღუპულთა შორის არიან ბავშვები, ისინი, რომლებსაც ამ ცხოვრებაში ჯერ არაფერი უნახავთ და ისინი, რომლებიც საერთოდ არ არიან დამნაშავეები იმაში, რომ უფროსები ერთმანეთთან საერთო ენას ვერ პოულობენ.

როგორ სარგებლობს კრიმინალური სამყარო ომით

სოციალურ ქსელში არაერთი ვიდეო გავრცელდა, სადაც ადგილობრივები საზოგადოებას რუს „მოროდიორებს“ ანახებენ. „მოროდიორებმა“ თავდასხმები ბანკებსა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებზეც განხორციელეს.

ომით, როგორც წესი, სხვა ჯურის კრიმინალებიც სარგებლობენ ხოლმე და ამ მხრივ გამონაკლისი არც ახლანდელი მდგომარეობაა – უკრაინაში, ალბათ, ის პირებიც მარტივად შედიან, რომლებიც იმავე უკრაინის კანონმდებლობით იძებნებიან ან უკრაინის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება არ აქვთ. ჰო, ე.წ. კანონიერ ქურდებსა და კრიმინალურ ავტორიტეტებს ვგულისხმობ. ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ ინიცირებული კანონით, ქვეყანა მათგან გაიწმინდა, თუმცა ახლა ზუსტად ვიცით, რომ რამდენიმე მათგანი უკრაინას დაუბრუნდა და პოლიციას მათთვის ნამდვილად არ სცალია. მერე, ომის შემდეგ მოიცლიან სამართალდამცავები კრიმინალისთვის, თუმცა მანამდე, კრიმინალური დაჯგუფებები ისე შეიარაღდებიან, ყველაზე თამამ ოცნებებშიც რომ ვერ წარმოიდგენდნენ. ისევ ჩვენი გამოცდილებიდან – შავ ბაზარზე, იარაღის ყიდვა ყველაზე მეტად, სწორედ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების შემდეგ იყო შესაძლებელი. ეს კი არადა, შავ ბაზარზე, ძალიან დიდი მარაგი 2008 წლის ომის შემდეგაც შეიქმნა, მაშინ, როცა თითქოს სამართალდამცავები ყველაფრის კონტროლს ახერხებდნენ – ბევრად ცუდი სიტუაცია იქნება უკრაინაში.

სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეოებით თუ ვიმსჯელებთ, იარაღი პირდაპირ ქუჩაში ყრია და ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა, აიღოს, წაიღოს, შეინახოს ან იბრძოლოს. ჩვენი ინფორმაციით, არიან ადამიანები, რომლებიც „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატს 50 დოლარად იხვეწებიან, მაგრამ ვერ ყიდიან და ეს მაშინ, როცა იგივე „კალაშნიკოვის“ შეძენა ომამდე, 1 500 დოლარადაც კი რთული იყო.

ომის ერთ-ერთი „სიკეთე“ ესეცაა, კაცობრიობის მკვლელი იარაღი იაფდება და ბავშვები ცარიელი ტყვიის მასრებით თამაშობენ.

ისევ კრიმინალურ სამყაროს დავუბრუნდეთ. როგორც უკრაინა, ისე რუსეთი, ახლა კრიმინალური სამყაროსთვის ნამდვილი სამოთხეა. უკონტროლო სიტუაცია კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება, რადგან არცერთი ქვეყნის სამართალდამცავებს რიგითი კრიმინალისთვის არ სცალიათ და რაც მთავარია, დღეს, პოლიციელთა აბსოლუტური უმრავლესობა ფრონტის წინა ხაზზეა. მათ გამოცდილებასა და საბრძოლო უნარებს, როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყანა აქტიურად იყენებს და რა ძნელი მისახვედრია, რომ იარაღთან ურთიერთობა ყველაზე მეტად, სწორედ პოლიციის თანამშრომლებს არ ეშლებათ. სწორედ ამ მიზეზით, კრიმინალის დონე რუსეთში უფრო მეტადაა გაზრდილი, ვიდრე უკრაინაში, რადგან უკრაინაში მაინც სამამულო ომი აქვთ. რუსეთს კი, განსაკუთრებით რეგიონებიდან, ყველა პოლიციელი ბრძოლის წინა ხაზზე ჰყავს და რეგიონებში, კრიმინალის მიმართულებით, კატასტროფა ხდება. როგორც გვეუბნებიან, სწორედ რეგიონებში დაბრუნდნენ რუსეთიდან გაძევებული ე.წ. კანონიერი ქურდები და მათ საზღვარი აფხაზეთიდან გადაკვეთეს, აფხაზეთში კი მას შემდეგ დაიდეს ბინა, რაც ისინი რუსეთიდან გაყარეს. მათზე მორიგი დევნა მანამ არ დაიწყება, სანამ რუსეთი უკრაინაში ომს არ დაამთავრებს და სანქციების გადამკიდე, ასე თუ ისე, აზრზე მოსვლას არ დაიწყებს.

დამშეული კრიმინალების დაბრუნება რუსი სამართალდამცავებისთვის ცალკე პრობლემაა, რადგან ისინი დაერივნენ იმ ბიზნესმენებს, რომლებმაც თავის დროზე ფულის გადახდაზე უარი თქვეს და პოლიციაში წასვლა არჩიეს. ეს ძირითადად საშუალო ბიზნესის ფენაა, რაც მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენს ანუ მოსახლეობის ძალიან დიდი ფენა რუსეთში მხოლოდ იმით კი არ არის უკმაყოფილო, რომ მათი ქვეყანა უკრაინასთან ომს აწარმოებს და ამის გამო, სანქციები მათაც დაუწესდათ, არამედ, იმის გამოც, რომ ისინი კრიმინალებმა შეაწუხეს და შეავიწროვეს, პოლიციას კი მათ დასაცავად აღარც დრო აქვს, აღარც – რესურსი.

ზოგადად, ომების დასრულების შემდეგ, კრიმინალის პრობლემა ყოველთვის რთულად იდგა. მაგალითისთვის, მეორე სამამულო ომის დასრულების შემდეგ, მოსახლეობაში იმდენი იარაღი იყო გაბნეული, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, კრიმინალები კი არ დაეპატიმრებინა, არამედ, პირდაპირ ქუჩაში დაეხვრიტა. 1946-48 წლებში, მათთან ბრძოლას ათასობით სამართალდამცავი შეეწირა, რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, ომს გადარჩენილი და სამშობლოში დაბრუნებული ჯარისკაცების ნაწილი სამუშაოდ იმჟამინდელ მილიციაში წავიდა და კრიმინალების მსხვერპლი გახდა. რომ არა ასეთი დაუნდობელი ბრძოლა და ადგილზე ლიკვიდაციის ბრძანება, საბჭოთა კავშირი მაშინ ბევრად მეტ დანაკარგს მიიღებდა და შესაძლებელი იყო, არაერთი ქალაქი, უბრალოდ, კრიმინალების კონტროლქვეშ ყოფილიყო.

ყველაფერი ეს, იმიტომ გავიხსენეთ, რომ კრიმინალური დაჯგუფებების გაძლიერება მაშინ არარეალურად ბევრმა და უკონტროლო იარაღმა გამოიწვია. ზუსტად იგივე მეორდება ახლაც და ამის შეჩერება შეუძლებელია, რადგან ომის პარალელურად, ვერცერთი ხელისუფლება იარაღის მოძრაობას, უბრალოდ, ვერ გააკონტროლებს.

ჩვენი, ქართული მაგალითი ავიღოთ – გასულ უქმეებზე, უკრაინის მიმართლებით, რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, ოფიციალურად, უკრაინის საკონსულოს დახმარებით, 75 ადამიანი წავიდა. მათ დაურიგებენ იარაღს, ჩაუტარებენ ინსტრუქტაჟს და... რამდენი მათგანი წააწყდება უპატრონოდ მიტოვებულ იარაღს უკრაინის მიწაზე, ადვილი მისახვედრია და ზუსტად იგივე დღეში იქნებიან ადგილობრივებიც. სოციალურ ქსელში ის კადრიც ვნახეთ, „კალაშნიკოვებით“ დატვირთული ავტომანქანა რომ ჩაიგდეს ხელში მებრძოლებმა და იქვე რომ თქვეს, ამ იარაღის არც ტარება შეგვიძლია, არც ადგილი გვაქვსო და მანქანა ქუჩაში დატოვეს, გზა გაგრძელეს და როგორ გგონიათ, ვინც იმ მანქანას იპოვიდა, იარაღს სამხედრო ნაწილს ჩააბარებდა თუ სარდაფში ან ავტოფარეხში შეინახავდა, ყოველი შემთხვევისთვის?!

ეს „ყოველი შემთხვევისთვის“ კი, შესაძლოა, მტრის მოგერიება იყოს და შესაძლოა, იმ რუსი „მოროდიორების“, რომლებიც უკრაინაში მრავლად არიან.

ბათო ჯაფარიძე

მოსკოვში იტალიის საელჩოს თანამშრომელი მოკლეს

როგორ ლობირებდა კრემლის გენერალიტეტი ნარკომაფიას

იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი ინგრეოდა, მაგრამ ძალოვანი სისტემის წარმომადგენლები, ასე თუ ისე, ერთმანეთთან კავშირს ინარჩუნებდნენ, თხუთმეტივე რესპუბლიკაში კრიმინალმა იმატა. იმატა იმიტომ, რომ ე.წ. შავი სამყაროს წარმომადგენლებს სჯეროდათ, მათთვის არავის ეცალა. სინამდვილეში, სამართალდამცავები აქტიურ კომუნიკაციაში იყვნენ და შიდა დანაშაულების გარდა, საერთაშორისო დანაშაულების აღკვეთასაც ცდილობდნენ. ნგრევის პროცესში, სხვა ქვეყნის მოქალაქეებმაც ჩათვალეს, რომ უკანონო საქმიანობისთვის საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები საუკეთესო შესაძლებლობა იყო. სწორედ მაშინ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სულ რამდენიმე დღის საკითხი იყო, მოსკოვიდან შეტყობინება მოვიდა – საქართველოს გავლით, რუსეთში დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება – „კოკაინი“ შევიდა და ეს იმდენად სუფთა „კოკაინი“ იყო, რომ რიგითი ადამიანები, სერიოზული „კრიშისა“ და კავშირების გარეშე, ვერც შეიძენდნენ, ვერც ჩამოიტანდნენ და ვერც ქვეყნიდან გაიტანდნენ.

ეს ის პერიოდია, როცა საქართველოცა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიც ცდილობენ, როგორმე, დიპლომატიური კავშირები დაამყარონ სხვა ქვეყნებთან, ოღონდ – არაოფიციალურად. ასევე, არაოფიციალურად, ქვეყანაში ჩამოდიან დაბალი რანგის ჩინოვნიკები და კულუარულად ხვდებიან მომიტინგეთა ლიდერებს. რაც მთავარია, უცხოელი ჩინოსნები, დაბალი რანგის მიუხედავად, ლამის ღმერთებად არიან გამოცხადებულნი და მაქსიმალურად ცდილობენ, პატივი სცენ. გამორიცხულია, საზღვრის კვეთის დროს მათი ბარგის შემოწმება და შესაბამისად, შეუძლიათ, ნებისმიერი რამ შემოიტანონ და გაიტანონ.

ქართველმა მებაჟეებმა მიიღეს დავალება, რომ შეძლებისდაგვარად, გაერკვიათ, რა შემოჰქონდათ უცხოელ დიპლომატებს და საეჭვო ბარგი ისე გაეხსნათ, არაფერი დატყობოდა. ამან ვერ გაამართლა, რადგან ძირითად ბარგს, რომელიც ტანსაცმლით და სამართალდამცავთათვის სხვა, უინტერესო ნივთებით იყო გაძეძგილი, აბარებდნენ, ხელჩანთები კი პირდაპირ თვითმფრინავში აჰქონდათ და ხელიდან არ უშვებდნენ. შესაბამისად, ხელბარგის გაჩხრეკას ვერც მებაჟეები ბედავდნენ, ვერც – მესაზღვრეები და ზოგადად, ამ მიმართულებით სახარბიელო სიტუაცია არ იყო.

მაშინ, როცა ქართული მხარე ასე წვალობდა, მოსკოვში იტალიის საელჩოს თანამშრომელი მოკლეს. უფრო ზუსტად, მოკლეს პირი, რომელიც რუსი იყო და იტალიის საელჩოში მუშაობდა. გამოძიებით დადგინდა, რომ მას უზადო წარსული ჰქონდა და იმის მიუხედავად, რომ ძმა ნასამართლევი ჰყავდა, მასთან კავშირი განწყვეტილი ჰქონდა და ესეც დოკუმენტურად იყო დადასტურებული. მაშ, რატომ უნდა ჩაეცხრილა უცნობს კაცი, რომელიც თითქოს არაფერს აშავებდა?

მალე ისიც გაირკვა, რომ იტალიის საელჩოს გარდა, გარდაცვლილს ურთიერთობა არაბ დიპლომატებთანაც ჰქონდა. კონკრეტულად კი, არაბეთის საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელს ხშირად ხვდებოდა და ისინი, ძირითადად, ჩაის სმით იყვნენ დაკავებულნი. რაც მთავარია, ეს არაბი დიპლომატი სამშობლოში ხშირად დადიოდა და უკან, რუსეთში, მუდმივად საქართველოს გავლით ბრუნდებოდა, რაც მოსახერხებელი არ იყო. ამიტომ, ქართველ ძალოვნებს, სწორედ ამ არაბი დიპლომატისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა დაევალათ.

იტალიის საელჩოს თანამშრომლის მკვლელობიდან ორიოდე კვირაში, სამართალდამცავთა მთავარი ინტერესის ობიექტი სამშობლოში წავიდა, იქიდან კვლავ ორ კვირაში დაბრუნდა და იმის მიუხედავად, რომ ქართველმა მებაჟეებმა ბარგის შემოწმება ვერ მოახერხეს, მოსკოვიდან მკაცრი მითითება მიიღეს – საქართველო-რუსეთის საზღვარზე, თუნდაც ძალის გამოყენებით, ბარგი უნდა გაეჩხრიკათ და გაეჩხრიკათ არა ზერელედ, არამედ, ყველა ჩანთის გახსნითა და მოწმეების თანდასწრებით. ეს ქართველ მესაზღვრეებს უნდა გაეკეთებინათ და ქართული მხარე მიხვდა, რუსეთი ორ კურდღელს იჭერდა. იმ შემთხვევაში, თუ არაბი სუფთა იქნებოდა, საერთაშორისო ასპარეზზე თავს იმით იმართლებდა, ბარგი ქართველებმა გაჩხრიკესო, კონტრაბანდის აღმოჩენის შემთხვევაში კი საქმის გახსნას თავად დაიბრალებდნენ. ამიტომ, ჩვენებს ბეწვის ხიდზე უნდა გაევლოთ და ბევრი ფიქრის შემდეგ, გადაწყდა, რომ დიპლომატი საზღვარზე კი არა, გზაზე გაეჩერებინათ და გაეჩხრიკათ. შესაძლოა, საზღვარზე ვერ გაეჩხრიკათ, რადგან დიპლომატს დაერეკა, წინააღმდეგობა გაეწია, მით უმეტეს, დაცვის სამი წევრი ახლდა, გზაში კი მისი ალყაში მოქცევა შეიძლებოდა, ოცზე მეტი შეიარაღებული თანამშრომლის ფონზე, დაცვაც წინააღმდეგობის გაწევისგან თავს შეიკავებდა.

ერთი შეხედვით, სპეცოპერაცია კარგად დაიგეგმა, მაგრამ არაბმა დიპლომატმა მანქანიდან გადმოსვლა არ ისურვა, კარი შიგნიდან ჩაკეტა და მისი დაცვის წევრებმაც იარაღი მოამზადეს. ქართველმა სამართალდამცავებმა სამინისტროს უპატაკეს, რომ ერთადერთი ვარიანტი ავტომობილის მინების ჩამსხვრევა იყო, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუ დიპლომატს რამეს უპოვნიდნენ, თუ არადა, საქმე მხოლოდ საყვედურებით არ დასრულდებოდა და ვინმეს ციხეში წასვლა მოუწევდა. ის „ვინმე“ კი აუცილებლად ქართველი იქნებოდა და არა – რუსი.

საბოლოო ჯამში, ე.წ. შტურმი დაიწყო, პასუხისმგებლობა შს მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს აჰკიდეს და საბედნიეროდ, დაცვამ არ გაისროლა. მანქანის ჩხრეკისას, საბარგულში 20 კილოგრამი ოქრო და ამდენივე თეთრი ფხვნილი იპოვეს. შემდეგ გაირკვა, ეს იყო სუფთა „კოკაინი“, მინარევების გარეშე, რომელიც მაშინ საქართველოში კი არა, შესაძლოა, კოლუმბიაშიც იშვიათად გენახათ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – დიპლომატის დაკავება ქართველებმა ვერ მოახერხეს, ამის თანხმობა რუსულმა მხარემ არ გასცა და მხოლოდ მისი დაცვის წევრები და მძღოლი დააპატიმრეს.

იმავე დღეს, რუსეთიდან სპეციალური დელეგაცია ჩამოფრინდა, რომელმაც ამოღებული ტვირთი აღწერა, ჩაიბარა და დიპლომატთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად მოსკოვში წაიღო.

ერთი შეხედვით, ქართული მხარისთვის ისტორია აქ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად. ცოტა ხანში, რუსეთიდან შეტყობინება მოვიდა, რომ სპეცოპერაციაში მონაწილე პირთაგან, მინიმუმ ორი, ნარკოტიკის განადგურებას და ოქროს ხაზინისთვის გადაცემას დაესწარითო. ქართულმა მხარემ გაიბრძოლა, ოქრო საქართველოშია ამოღებული და, ეგებ, ჩვენ გადმოგვცეთო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. შესაბამისად, რუსეთის დედაქალაქში ორი ოპერმუშაკი გაემგზავრა, თუმცა...

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ორივემ დაადასტურა, რომ ხელი მოაწერეს ოქროს გადაცემის პროცესს, სადაც დოკუმენტში, 20 კილოგრამის ნაცვლად, 2 კილოგრამი ეწერა და იქვე უთხრეს, ალბათ, ნულის მიწერა დაავიწყდათ და მიაწერენო, ხოლო როცა საბურავებით (?!) ცეცხლი დაანთეს და იქ 20 კილოგრამი თეთრი ფხვნილის მასა ჩაყარეს, ირგვლივ დამწვარი პურის სუნი დადგა ანუ ყველა მიხვდა, რომ სუფთა „კოკაინის“ ნაცვლად, პურის ფქვილი დაიწვა.

სხვათა შორის, ასეთი მაღალი ხარისხის ნარკოტიკმა საქართველოს ტერიტორიაზე მალევე „ამოყვინთა“ და ის ერთ-ერთ ჩინოვნიკს უპოვეს, რომელიც რუსეთიდან ახალი დაბრუნებული იყო და სამსახურში ცუდად, სწორედ ნარკოტიკის ინტოქსიკაციით გახდა. მის ჯიბეში ნაპოვნი „კოკაინი“, სწორედ იმ შემადგენლობის იყო, რომელიც რუსეთმა ოფიციალურად გაანადგურა, სინამდვილეში კი... ეს ნარკოტიკი ჩინოვნიკთა და ელიტის წვეულებებზე უფასოდ რიგდებოდა, ნაწილი კი, სავარაუდოდ, იყიდებოდა. მომხდარიდან ძალიან მალე, ერთი საათის ინტერვალით, მოსკოვში ორი პოლკოვნიკი ჩაცხრილეს და საქმე დღემდე გაუხსნელია.

ოფიციალურად, ეს იმ დაჯგუფებებს დაბრალდათ, რომლებსაც ისინი, თითქოს, ავიწროვებდნენ, მაგრამ ძალოვანი სტრუქტურების კულუარებში ამბობდნენ, რომ მათ არაბული ოქრო ვერ გაინაწილეს და საბოლოო ჯამში, ორივე მათგანი... გენერალიტეტმა მოიშორა.

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, დღეს იარაღის უკანონოდ შეძენა რთული არ არის. მით უმეტეს, ახლა, როცა უკრაინაში ომი მძვინვარებს... მშვიდობიანობის დროს, უკანონო იარაღი რისთვის გამოიყენება, კარგად მოგეხსენებათ. არადა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარი არაა უბრალოდ პისტოლეტზე, ადამიანები ავტომატებს, ნაღმტყორცნებსა და ტანკის ნაწილებსაც კი ასაწყობებენ. ადრე, იარაღის ხელში ჩაგდება ურთულესი საქმე იყო და ამისთვის კრიმინალები ან ქუჩაში ესხმოდნენ თავს სამართალდამცავებს, ან სამხედრო ნაწილებზე მიჰქონდათ იერიში. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იარაღს მაშინ შოულობდნენ, როცა სამართალდამცავები დამნაშავეთა ჯგუფს აკავებდნენ. ამოღებული არსენალიდან რაღაც ქრებოდა და ეს მანამ, სანამ აღწერა ჩატარდებოდა, შემდეგ იარაღი ხელიდან ხელში გადადიოდა და... ჰო, პარადოქსია, როცა სამართალდამცავები ამოღებულ იარაღს ისევ კრიმინალებს უბრუნებდნენ და ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა, მაგრამ... ხდებოდა.

სამართალდამცავმა დის ქმარი გაგუდა

რა გახდა მკვლელობის მიზეზი – საქმის დეტალები

თბილისის მიმდებარედ, ტყეში საპიკნიკედ წასულმა ცოლ-ქმარმა ახალგაზრდა მამაკაცის გვამი აღმოაჩინა. ისინი სასწრაფოდ მილიციის უახლოეს განყოფილებაში მივიდნენ, მაგრამ კარგა ხანს, გაუგებრად საუბრობდნენ – ნამდვილი შოკი ჰქონდათ. ყველას უკვირდა, მკვდრის ასე როგორ შეეშინდათო, მაგრამ ადგილზე მისული სამართალდამცავებიც დაიზაფრნენ – გარდაცვლილს, თვალების ადგილზე, ორი ღრმული ჰქონდა ანუ ისე ჩანდა, რომ მკვლელმა თვალები ამოთხარა და თან წაიღო.

„არსებობს მოსაზრება, რომ რასაც ადამიანი ბოლოს დაინახავს, თვალის გუგაში რჩება და, შესაძლოა, მკვლელმა თვალები ამიტომ წაიღო“, – თქვა ერთ-ერთმა გამომძიებელმა. ექსპერტმა კი თავი გააქნია, მოსაზრება კი არსებობს, მაგრამ დიდი სისულეელეა, არაფერი რჩებაო.

ახალგაზრდა კაცის გარდაცვალების მიზეზი გაგუდვა იყო – თოკით ან ზონრით დაახრჩვეს და რაც მთავარია, მკვლელი გარდაცვლილზე ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგან მისი დამორჩილება იოლი საქმე ნამდვილად არ იქნებოდა. მალე ვინაობაც დაადგინეს, არაფერი განსაკუთრებული, რიგითი, პატიოსანი მოქალაქე, რომელსაც ცოლი ორი თვის მოყვანილი ჰყავდა, მისი ცოლის ძმა კი მილიციის თანამშრომელი იყო.

ცოლის ძმა შემთხვევის ადგილზე მალე მივიდა, ჯერ ტირილი დაიწყო, მერე – ღრიალი, ბოლოს კი ჩუმად თქვა, ჩემს დას ვინმემ უთხარით, მე ვერ გავუბედავ, ისეთი ბედნიერი იყო, ამას ვერ ვეტყვიო.

გარდაცვლილის მეუღლისკენ გეზი ორმა გამომძიებელმა აიღო. გოგონამ როგორც კი მოისმინა, რომ ქმარი მოუკლეს, ხმა არ ამოუღია, თვალები გადაატრიალა და გული წაუვიდა. ქალის გონზე მოყვანას კარგა ხანი დასჭირდა, თუმცა აზრზე მოსვლიდან რამდენიმე წამში იგივე განმეორდა – მეორედაც ვერ გაუძლო ელდას, ამიტომ ექიმმა ნიშადური ცალკე ასუნთქა და დამაწყნარებელი ცალკე გაუკეთა, თანაც გამომძიებლებს უთხრა, დღეს ამის დაკითხვა გამორიცხულია, მაინც ვერაფერს გეტყვით, სანამ გონება არ გადაამუშავებს და იმას არ შეეგუება, რომ საყვარელი ადამიანი დაკარგაო.

მოლოდინის მიუხედავად, ცოლის დაკითხვა ვერც მეორე და ვერც მესამე დღეს მოხერხდა – შოკიდან ვერა და ვერ გამოვიდა, გული პერიოდულად მისდიოდა და როგორც ჩანს, ძმის სიტყვებიც არ იყო რეალობას მოკლებული – იმდენად უყვარდა ქმარი, შესაძლოა, ყველაფერი ეს, თვეები გაგრძელდესო.

საბოლოო ჯამში, მეხუთე დღეს გოგონა დაკითხეს, მაგრამ საინტერესო არაფერი უთქვამს. ქმარს ცოლზე მზე და მთვარე ამოსდიოდა, მეგობრები ცოტა ჰყავდა და მთელ დროს, სწორედ მეუღლის გვერდით ატარებდა. იგივე ითქვა სამსახურშიც და რაც მთავარია, ვერავინ იხსენებდა თუნდაც მცირე ინციდენტს სამსახურსა თუ სამეზობლოში, რაც შესაძლოა, მკვლელობის მიზეზი გამხდარიყო. ჰო, ექსპერტიზამ დასკვნა დადო, თვალები არავის ამოუთხრია, ეგ გარეული ფრინველების ნამუშევარია, ამოკორტნეს, სანამ გვამს იპოვიდნენო.

სამაგიეროდ, დაზუსტდა, რომ მამაკაცი, სავარაუდოდ, ფეხსაცმლის ზონრით იყო გაგუდული და არა – მსხვილი თოკით, თუმცა გამომძიებლებს ესეც არაფერს აძლევდა – არც ზონარი ჰქონდათ და არც – ფეხსაცმელი. სავარაუდოდ, ისინი მკვლელმა თან წაიღო.

ერთადერთი ძაფი, რომელიც შესაძლოა, მკვლელობის გახსნამდე მისულიყო, ცოლის ძმა გახლდათ. იმის მიუხედავად, რომ ის მილიციის თანამშრომელი იყო, გარდაცვლილი ყველაზე მეტ დროს სწორედ მასთან ატარებდა და უნდა სცოდნოდა, რა და როგორ ხდებოდა სიძის ცხოვრებაში, თუმცა საინტერესოს ისიც არაფერს ამბობდა, ძირითადად, ჩემს დაზე მესაუბრებოდა და ამბობდა, რომ ამ ქვეყნად ყველაზე ბედნიერი იყოო.

„მთავარია ორი რამის გარკვევა – რა უნდოდა გარდაცვლილს ტყეში მაშინ, როცა მანქანა არ ჰყავდა და იქ ვის ან რატომ წაჰყვა?! ფაქტია, უცნობ ადამიანს ამ სიშორეზე არ წაჰყვებოდა, ამისთვის არც სამსახურს გააცდენდა და რაც მთავარია, აუცილებლად ეტყოდა ცოლს, რომ სადღაც მიდიოდა“, – განაცხადეს გამომძიებლებმა და კვლავ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც შესაძლებელი იყო, ასე მინდობოდა, სწორედ ცოლის ძმა გახლდათ. ამიტომ, მისი საქმეების შესწავლა და თან იმის გარკვევა დაიწყეს, ხომ არ ჰქონდა რამე ვალდებულება კრიმინალების მიმართ და სიძის მკვლელობით ხომ არ მიანიშნეს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კარგი დღე არც მას ელოდა.

ძალოვანი უწყების თანამშრომლის ბინის ჩხრეკას ძალიაან მყარი საფუძველი სჭირდებოდა, ერთი პროკურორიც არ მოაწერდა ხელს მხოლოდ გამომძიებლის მოსაზრებაზე დაფუძნებულ ვერსიას. ამიტომ, გადაწყდა, ჩხრეკა მაშინ ჩატარებულყო, როცა გარდაცვლილის ცოლის ძმა შინ არ იქნებოდა და ვერაფერს მიხვდებოდა. ამისთვის, მისი ბინის გასაღებად ცნობილი ბინის ქურდი წაიყვანეს, კარი გააღებინეს და ხელთათმანებითა და ბახილებით მუშაობა დაიწყეს. პრინციპში, ბევრი სამუშაო არც იყო – კომოდის უჯრაში ნომერგადაფხეკილი ორი ცალი „მაკაროვის“ პოვნის შემდეგ, გამომძიებლები პირდაპირ პროკურორთან წავიდნენ და მართალია, სერიოზული საყვედურიც მიიღეს უკანონო შეჭრის გამო, მაგრამ პროკურორის კაბინეტიდან ჩხრეკის ორდერი გამოიტანეს. მთავარი ეჭვმიტანილი გაოცდა, როცა უთხრეს, რომ მისი ბინა უნდა გაეჩხრიკათ და მიხვდა, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა და ვერც სახლში მისვლასა და იარაღის გადამალვას მოასწრებდა.

დეტალურმა ჩხრეკამ, ორ იარაღთან ერთად, 4 ათასი მანეთიც გამოავლინა, ფული, რომელიც მაშინ ძალიან დიდი თანხა იყო და წესით, მილიციის თანამშრომელს არ უნდა ჰქონოდა.

ახლა, ისე ნუ გაიგებთ, რომ მაშინ ქრთამს არავინ იღებდა და ძალოვნები ფრთიანი ანგელოზები იყვნენ, მაგრამ ყველაფერი ეს აროფიციალურად ხდებოდა, ოფიციალურად კი საბჭოთა მილიციის მუნდირი არ უნდა შებღალულიყო, თანაც ეჭვმიტანილს არ ჰქონდა ისეთი თანამდებობა, 4 ათასი მანეთი არ გაჰკვირვებოდათ.

იარაღის პოვნა იმას ნამდვილად არ ნიშნავდა, რომ სიძე მოკლა და რაც მთავარია, სახლიდან წაღებული ერთ ზონარზეც არ იყო გარდაცვლილის კანის ნაწილაკები, მაგრამ სამაგიეროდ, იარაღის შემოწმებამ აჩვენა, რომ რამდენიმე ყაჩაღურ თავდასხმასა და მკვლელობაშიც კი ფიგურირებდა.

ჯგუფი, რომელიც ორი წლის წინ, ძალოვნებმა სპეცოპერაციისას გაანადგურეს, ძარცვა-ყაჩაღობით იყო დაკავებული და მისი წევრების სახლებიდან არაერთი იარაღი ამოიღეს, თუმცა მათ შორის არ იყო ეს ორი, რომლებიც სხვადასხვა საქმეში ფიგურირებდნენ და რაც მთავარია, იმ სპეცოპერაციაში სიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მილიციელიც მონაწილეობდა. გამომძიებლებმა მას მარტივად აუხსნეს, ამოღებული იარაღი სავსებით საკმარისი იქნებოდა საქმის ისე შესაკერად, რომ მილიციის თანამშრომელი, სწორედ იმ ბანდის წევრი ყოფილიყო და ასეთ შემთხვევაში, დახვრეტა არ ასცდებოდა. ამიტომ, ის იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ იარაღი სწორედ სპეცოპერაციის დროს, შემდგომი რეალიზაცის მიზნით მოიპარა, დის ქმარი კი...

„ჩემთან, სახლში, შემთხვევით ნახა იარაღი და მთხოვა, გამასროლინეო. შემდეგ, როცა სასროლად ამოვედით, მანქანაში დახედა იარაღებს და ნომრები რატომ არ აქვსო, გაუკვირდა. როცა მოვუყევი, საიდან მქონდა იარაღი, მითხრა, ეს არასწორია, უკან დავბრუნდეთ და პირდაპირ მილიციაში მივიდეთ, ჩემს თვალწინ ჩააბარე, მე ვეტყვი, რომ ნანობ ჩადენილს და არ დაგიჭერენო. ყველაფერი თავზე მემხობოდა, ერთი საათი ვესაუბრე და მივხვდი, არ გაჩუმდებოდა, მე თუ არ ჩავაბარებდი იარაღს, მილიციაში თავად ჩავიდოდა. ქამარზე ჩემი ტაბელური იარაღი მქონდა ტყავის ზონრით, რომ მიბრუნდა, სწორედ იმით გავგუდე და ტყეში დავაგდე. იმდენი გამოცდილება კი მაქვს, კვალი არ დამეტოვებინა“, – განაცხადა მკვლელმა.

სასამართლო დახურულ კარს მიღმა გაიმართა და სამართალდამცავს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მომხდარი გახმაურებული მკვლელობის ფაქტზე კიდევ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1996 წელს დაბადებული ი.ბ., განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ, შეუპირებლად დაფარვის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ი.ბ., თბილისში მომხდარ ნ.კ.-ს მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთ ბრალდებულ გ.კ.-სთან მეგობრობდა, შესაბამისად, მან იცოდა თავისი მეგობრის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის შესახებ. ასევე, დადგინდა, რომ ი.ბ.-მ საკუთარ სახლში ღამე გაათევინა გ.კ.-ს და ამავე საქმეზე მეორე ბრალდებულ ა.ჭ.-ს, ხოლო მეორე დღეს, მათ მიმალვაში დაეხმარა.

ი.ბ.-მ ამის შესახებ პოლიციას არ შეატყობინა. დანაშაული 2-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვის ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

შინაგან საქმეთა მინისტრი ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ვიზიტით მყოფ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისართან, დუნია მიატოვიჩთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს ბოლო წლების განმავლობაში, ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით სამინისტროს პოლიტიკა.

ვახტანგ გომელაურმა ყურადღება გაამახვილა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებზე, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს მადლობა გადაუხადა საქართველოში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისთვის. შეხვედრას ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის დირექტორის მოადგილე კლაუდია ლემი, კომისრის მრჩეველი ოლენა პეტსუნი და ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ირაკლი გივიაშვილი დაესწრნენ.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი მთელი თბილისის მასშტაბით ამოქმედდა

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, დედაქალაქის მასშტაბით, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი სრულად ამოქმედდა. მართლწესრიგის 50 ოფიცერი გლდანი-ნაძალადევის მთავარ სამმართველოში, დაგეგმილზე ადრე შეუდგა მუშაობას.

ახლადდანიშნულ მართლწესრიგის ოფიცრებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე შალვა ბედოიძემ, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა სულხან თამაზაშვილმა, მისმა მოადგილემ თეიმურაზ კუპატაძემ და გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს უფროსმა მირიან ქავთარაძემ მიულოცეს.

მინისტრის პირველმა მოადგილემ, შალვა ბედოიძემ მართლწესრიგის ოფიცრებს სიტყვით მიმართა და მათი სამსახურის მნიშვნელობაზე ესაუბრა.

„თბილისის პოლიციის დეპარტამენტში მართლწესრიგის რეფორმა სრულად განხორციელდა. ყველა რაიონში, თბილისის მთავარ სამმართველოებში სრულად იქნა შეყვანილი მართლწესრიგის ოფიცრები. ძალიან მნიშვნელოვანია მართლწესრიგის როლი საპოლიციო საქმიანობის განხორციელებაში. ასევე, მინდა გაცნობოთ, რომ სრულად გაიმიჯნა თბილისის პოლიციის დეპარტამენტში გამოძიებისა და ოპერატიული საქმიანობის ფუნქცია-მოვალეობები, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის ჩვენს საპოლიციო საქმიანობას“, – განაცხადა შალვა ბედოიძემ.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, მიზნად ისახავს პოლიციის პრევენციული საქმიანობის გაძლიერებას.

მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენცია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქცია-მოვალეობებში შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება.

მართლწესრიგის ოფიცრების შერჩევა ხდება კონკურსის წესით. კონკურსის შედეგად შერჩეული პირები, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, რამდენიმეთვიან ინტენსიურ პროფესიულ სწავლებას გადიან და სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, მუშაობას იწყებენ.

სულ, თბილისის ყველა რაიონში, მართლწესრიგის 365 ოფიცერი იმუშავებს. მთელი ქვეყნის მასშტაბით, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო კონცეფციის სრულყოფილად დასანერგად, მართლწესრიგის ოფიცერთა რაოდენობის ეტაპობრივად ზრდა და ყველა მსხვილ ქალაქში ამოქმედება იგეგმება.

პოლიციამ ძალადობის ბრალდებით თბილისში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ვ.გ. დააკავეს.

მას ბრალი ედება ძალადობით განხორციელებულ დევნაში, ასევე, პირადი ცხოვრების ამსახველი საიდუმლოების უკანონოდ მოპოვებასა და სოციალური ქსელით გავრცელებაში.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვ.გ.-მ მიმდინარე წლის 18 თებერვალს, თბილისის ზღვის მიმდებარედ, ერთ-ერთ შენობაში, რ.მ.-ზე ფიზიკურად იძალადა.

ძალადობის ამსახველი კადრები მოგვიანებით სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით გავრცელდა.

ძალადობით განხორციელებული დევნის, ასევე, პირადი ცხოვრების ამსახველი საიდუმლოების უკანონოდ მოპოვებისა და სოციალური ქსელით გავრცელების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 157-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.

police.ge

რუსული სპორტის კრიტიკული დღეები

რა დარტყმა მიაყენა რუსეთ-უკრაინის ომმა რუსულ სპორტულ ფედერაციებს

ბათო ჯაფარიძე

რამდენიც უნდა ვამტიცოთ, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, ფაქტია, სპორტი პოლიტიკის გარეშე არ არსებობს და არც პოლიტიკაა სპორტის გარეშე. შესაბამისად, უკრაინაში მინდინარე პროცესები სპორტზე ნათლად აისახა და სანქციები რუსულ ფედერაციებსაც დაუწესეს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თორნიკე შენგელიამ მიიღო, რომელმაც მოსკოვის „ცსკა" დატოვა და აცხადებს, რომ იქ დაბრუნებას აღარ აპირებს.

„ოჯახური და პირადი მიზეზების გამო, რაც რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე სიტუაციითაა გამოწვეული, აგრეთვე, შესაძლო შედეგებით, „ცსკა" თორნიკე შენგელიამ, იფე ლუნდბერგმა, მარიუს გრიგონისმა და იოჰანეს ფოიგტმანმა დატოვეს. მოთამაშეთა მოქმედება კონტრაქტის პირობებისა და საკლუბო რეგლამენტის დარღვევაა, მაგრამ კლუბი გაგებით ეკიდება ყოველი კალათბურთელის პერსონალურ ვითარებას. **მოთამაშეებთან შეთანხმების სტატუსი გადაწყვეტილი იქნება, როდესაც ევროპაში პოლიტიკური და სპორტული სიტუაციის ნორმალიზება მოხდება"**, – ეს განცხადება კლუბის ვებ-გვერდმა გაავრცელა, მაგრამ ისინიც კარგად ხვდებიან, რომ აღარასდროს იქნება ისე, როგორც ადრე, მით უმეტეს, რომ ევროპის საკალათბურთო ასოციაციამ რუსულ კლუბებს შინ თამაში, უბრალოდ, აუკრძალა.

ოფიციალური საერთაშორისო მატჩების საკუთარ კედლებში ჩატარება აეკრძალათ საფეხბურთო კლუბებსა და ეროვნულ ნაკრებებს, თუმცა ამ შემთხვევაში, რუსებს მაშველად სერბეთი გამოუჩნდა. ამასთან დაკავშირებით, სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც, რუსულ კლუბებს საშინაო მატჩების ჩატარება საკუთარ კედლებში შეეძლებათ. თუ რუსული სპორტის წარმომადგენლები საკუთარ მატჩებს სერბეთში გადაიტანენ, მათ საუკეთესო პირობები ექნებათ. ყველაფერ ამას, ალექსანდრ ვუჩიჩი ადასტურებს. მეტიც, სერბეთის ჩემპიონატის შეხვედრაში, გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე უკრაინის დროშა გამოსახეს და ზედ საფლავის ჯვრები ასახეს ანუ ამ ჟესტით, სერბეთმა რუსეთს არა მარტო ღია მხარდაჭერა გამოუცხადა, არამედ, უკრაინა „დაასამარა".

* * *

სოციალურ ქსელში იარაღის ფოტო გამოაქვეყნა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა გიორგი ზანთარაიამ, რომელიც წლებია, უკრაინის სახელით ასპარეზობს და დაადასტურა, რომ მეორე სამშობლოს ახლა იარაღით ხელში იცავს. ზოგადად, არაერთმა სპორტსმენმა აიღო ხელში იარაღი, შეწყვიტა კარიერა და უკრაინაში ქვეყნის დასაცავად დაბრუნდა. შენგელიას შემდეგ, ქართველმა გულშემატკივრებმა სოციალურ ქსელში ხვიჩა კვარაცხელიას მოსთხოვეს პოზიციის დაფიქსირება. ყაზანის „რუბინისა" და ზოგადად, რუსული პრემიერლიგის ქართველმა ვარსკვლავმა საკუთარ გვერდზე დადო ფოტო, სადაც დაწერა: **„არა ომს!"**

* * *

უკრაინაშია საქართველოს ძალოსანთა ნაკრების წევრი, უკრაინელი ანასტასია გოტფრიდი. მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ფოტო, სადაც შვილთან ერთად თავშესაფარშია და შვილს სწორედ ჩვენი ნაკრების ქურთუკით ათბობს.

სხვათა შორის, რუსები იმით ამაყობდნენ, რომ არცერთ რუს სპორტსმენს ღიად არ უთქვამს, ამას რას ვაკეთებთ, რუსეთის სახელით არ ვიასპარეზებო, თუმცა პირველი მერცხალი უკვე გამოჩნდა.

„ვფიქრობ, უკვე შეუძლებელი და შეუფერებელია, რომ ამის შემდეგ, რუსეთის ფედერაციას რომელიმე ტურნირზე წარმოვადგენდე. უკვე გავგზავნე მოთხოვნა ფიდე-ში, რომ ან ქვეყანა შევიცვალო, ან ნეიტრალური დროშის ქვეშ ვიასპარეზო. სანამ ეს არ მოხდება, არცერთ ტურნირზე არ ვითამაშებ. ვფიქრობ, ფიდემ უნდა მიიღოს ზომები, რათა ასეთი ტრანსფერები შესაძლებელი გახდეს მათთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ იმის იგნორირება, რაც ხდება. პასუხს ველოდები", – ეს განცხადება საკუთარ გვერდზე რუსმა მოჭადრაკემ, 27 წლის გროსმაისტერმა, ვიაჩესლავ ტილიჩეევმა განათავსა.

* * *

ავსტრალიაში მოთამაშე ერთადერთმა ქართველმა ფეხბურთელმა ბექა მიქელთაძემ გოლი გაიტანა, რის შემდეგაც უკრაინის ფერებში შეღებილი მაისური მწვანე კონტინენტზე აღმართა და მხარდაჭერა ამ გზით გამოხატა. იგივე გააკეთა კვიპროსში გიორგი ქვილითაიამ და ზოგადად, ქართველებს, სადაც შესაძლებლობა ეძლევათ, უკრაინის მხარდაჭერას ღიად აფიქსირებენ.

ახლა, რაც შეეხება საერთაშრისო სანქციებს.

ფეხბურთი

ერთ-ერთი პირველი, ვინც რუსეთს დარტყმა მიაყენა UEFA იყო. სანკტ-პეტერბურგში მდებარე „გაზპრომ არენას" ჩემპიონთა ლიგის ფინალის მასპინძლის სტატუსი ჩამოერთვა და მის ნაცვლად, პატივი პარიზის „სტად დე ფრანსს" ერგო. UEFA აქტიურად ამუშავდა ერთ-ერთ უმსხვილეს სპონსორთან, „გაზპრომთან" კონტრაქტის გასაწყვეტად, რომლისგანაც ყოველწლიურად 40 მილიონ ევროს გამოიმუშავებდა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" რუსულ ავიაკომპანიასთან – Aeroflot-თან კონტრაქტი გაწყვიტა. არადა, „წითელი ეშმაკები" ამ კომპანიისგან წლიურად 40 მილიონ ევროს იღებდნენ. მანჩესტერელებმა ჩემპიონთა ლიგის გასვლით მატჩზე, Aeroflot-ის თვითმფრინავით წასვლაზე უარი უკვე თქვეს. გელზენკირხენის „შალკემ" მაისურზე სპონსორის – „გაზპრომის" წარწერით თამაშზე უარი თქვა.

მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი-ოფში, რუსეთის ნაკრები პოლონეთს ხვდება, ხოლო შვედეთი – ჩეხეთს. წყვილებს შორის გამარჯვებულები კი ერთმანეთში მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს გაითამაშებენ, რომელიც ყატარში 2022 წლის 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრამდე გაიმართება. ჰოდა, შვედეთის, ჩეხეთისა და პოლონეთის ნაკრებებმა FIFA-ს უკვე მიმართეს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ასაპარეზობას არ აპირებენ, ხოლო მსოფლიოს მმართველ ორგანიზაციას შეუძლია, სამივე ნაკრებს ტექნიკური წაგება – 0:3 ჩაუთვალოს და რუსეთი მსოფლიოზე პირდაპირ დაუშვას. ახლა FIFA-ში იმაზე მსჯელობენ, ეს სამი ნაკრები ამოაგდონ გათამაშებიდან თუ ყატარში გამგზავრების უფლება რუსეთს არ მისცენ. უდიდესი ალბათობით, გადაწყვეტილება ისეთი იქნება, როგორიც რუსეთს არ მოეწონება. პლეი-ოფის მატჩები 24 და 29 მარტსაა დაგეგმილი.

დასასრული მე-14 გვერდზე

რუსული სპორტის კრიტიკული დღეები

მე-13 გვერდიდან

სანამ ნაკრებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებენ, FIFA-მ უკვე თქვა, რომ რუსეთის ტერიტორიაზე, საერთაშორისო ტურნირების ჩატარება აიკრძალა. რუსებს გასვლითი მატჩების ნეიტრალურ მოედანზე, მაყურებლების გარეშე, გამართვა მოუწევთ. რუსეთის ნაკრები ყველა ტურნირზე ითამაშებს არა რუსეთის, არამედ, რუსეთის საფეხბურთო კავშირის სახელწოდებით. შეხვედრებისას, მათ არ ექნებათ დროშა და არ გაჟღერდება ჰიმნი.

რაგბი

პირველი, რაც რაგბის კავშირმა გააკეთა, 27 თებერვალს დაგეგმილი საქართველო-რუსეთის მატჩის გადადება იყო. ამის შემდეგ კი რაგბის ევროპულმა ორგანიზაციამ რუსეთში ყველა სახის საქმიანობა შეწყვიტა. მატჩები, ტურნირები თუ სხვა სახის ღონისძიებები, რაც რუსეთის ტერიტორიაზე იგეგმებოდა, უბრალოდ, გაუქმებულია.

ფორმულა 1

სოჭის გრანპრი „ფორმულა 1“-ის ახალი სეზონში აღარ იქნება. FIA-ს ხელმძღვანელებმა მისი კალენდრიდან ამოღება უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ გადაწყვიტეს. პირველმა მოთხოვნა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, სებასტიან ფეტელმა დააყენა და აღნიშნა, რომ სოჭის გრანპრის ბოიკოტს გამოუცხადებს. გერმანელი პილოტი გახდა პირველი მძღოლი, ვინც რუსეთის წინააღმდეგ ისაუბრა. აღნიშნული რბოლა 25 სექტემბერს უნდა გამართულიყო. ამით, უშუალოდ სოჭს, დაახლოებით, 150 მილიონი დოლარის ზარალი მიადგება.

კალათბურთი

საკალათბურთო ევროლიგამ რუსეთის გუნდების საშინაო მატჩების ნეიტრალურ მოედნებზე გადატანის გადაწყვეტილება მიიღო. „ცსკა“-ს, „ზენიტსა“ და „უნიკსს“ საკუთარ მოდნებზე თამაში აეკრძალათ. 27 თებერვალს, მოსკოვში ჩასატარებელი „ცსკა“-სა და „ბარსელონას“ მატჩი კი გაურკვეველი ვადით გადაიდო. უფრო საინტერესო ის არის, რომ ნიდერლანდებმა უარი თქვა კალათბურთში მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუსეთის მასპინძლობაზე. ტურნირის ერთ-ერთი მასპინძელი სწორედ ნიდერლანდებია

და თავისი შეხვედრები რუსეთს ამ ქვეყანაში უნდა ჩაეტარებინა, თუმცა ნიდერლანდების სამეფოს წარმომადგენლები კატეგორიულად გამორიცხავენ რუსეთის მასპინძლობის შესაძლებლობას. ესტონურმა კალევმა და პოლონეთის ზელენა გურამ VTB-ლიგა დატოვეს და განაცხადეს, რომ ამ ტურნირზე აღარ იასპარეზებენ.

ძიუდო

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ვლადიმირ პუტინს ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტის სტატუსი გაუუქმა. პარალელურად, მიმდინარე წლის 20-22 ივნისს გასამართი ყაზანის გრანდ-სლემი გაუქმდა და აღარ გაიმართება. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია, უახლოეს მომავალში, რუსეთში არცერთი ღონისძიების ჩატარებას არ განიხილავს.

ჩოგბურთი

ATP Challenger ტურმა, „ტვიტერზე“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ჩელენჯერის სერიის საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც მოსკოვში უნდა გამართულიყო, აღარ გაიმართება. ტურნირი 28 თებერვალს უნდა დაწყებულიყო და 3 მარტამდე გაგრძელებულიყო.

INTERNATIONAL
OLYMPIC
COMMITTEE

ჭადრაკი

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ – ფიდემ, უარი თქვა 2022 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის რუსეთში გამართვაზე. 2022 წლის საჭადრაკო ოლიმპიადა ხანტი-მანსიისკში, ზაფხულში უნდა გამართულიყო.

სათხილამურო სპორტი

საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციამ, რუსეთში გასამართი ღონისძიებები, მათ შორის, ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატიც შეწყვიტა, რომელიც მარტში უნდა ჩატარებულიყო.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საბჭომ მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სანქციები არ იკმარა და საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, სანქციები ბელორუსის წინააააღმდეგაც გატარდეს. ოფიციალური წერილი გაეგზავნათ საერთაშორისო ფედერაციებს, რათა მათ გადაიტანონ ან გააუქმონ ის სპორტული ღონისძიებები, რომელთა ჩატარებასაც ამ ორი ქვეყნის ტერიტორიაზე გეგმავდნენ. საბჭომ მათ ისიც მოსთხოვა, რომ რუსეთსა და ბელარუსს დროშისა და ეროვნული ჰიმნის გამოყენების უფლება ჩამოერთვათ, რაც რუსეთის შემთხვევაში, ამჟამადაც მოქმედებს.

ვინ არის „რადას“ დეპუტატი გონჩარენკო, რომელიც პატრიოტიზმს გვასწავლის

მაკა რუხაძე

ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოში უკრაინის ელჩი გაიწვია

ექვსი დღეა, უკრაინა ომის ქარ-ცეცხლშია გახვეული. უკრაინელი ხალხი გასაოცარი ერთსულოვნებითა და თავგანწირვით იცავს საკუთარ ქვეყანას. მთელი მსოფლიო მხარს უჭერს უკრაინას რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ექვსი დღის განმავლობაში, საქართველოს საელჩო და საკონსულო 24/7 მუშაობს კიევში – ქართველ დიპლომატებს ერთი დღითაც არ დაუტოვებიათ უკრაინა, პრემიერ-მინისტრმა სოლიდარობა გამოხატა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ, თუმცა იმის გამო, რომ ფრთხილი პოლიტიკა აირჩია, რადგან დედაქალაქიდან 40 კილომეტრში რუსეთის ჯარი დგას, ხოლო ტერიტორიების 20% – ოკუპირებული, რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს ღიად და აშკარად არ შეუერთდა. მოკლედ, ოპოზიციას საკბილო მიეცა, რასაც დიდი ხნის წინ, უკრაინაში საგანგებოდ გადატყორცნილი „დესანტიც“ (საქართველოდან გაქცეული ძველი ჩინოვნიკები) დაემატა და 1 მარტს, ზელენსკიმ უკრაინის ელჩი საქართველოში ქვეყნიდან გაიწვია. ოფიციალური ვერსიით, კონსულტაციების მიზნით, თუმცა წინაპირობა ის გახლდათ, რომ 28 თებერვალს, მოხალისეებზე დაყრდნობით, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია – ქართველი მოხალისეების წასაყვანად, უკრაინიდან უნდა გამოფრენილიყო თვითმფრინავი, თუმცა შესაბამისი ნებართვა ვერ მიიღო და რეისი არ შედგა. სინამდვილეში, ზელენსკის ეს გადაწყვეტილება იმ პროვოკაციის კულმინაცია გახლავთ, რაც ექვსი დღეა, უკრაინა-რუსეთის ომის პარალელურად, თბილისში აგორდა და რასაც პირდაპირ ალექსეი გონჩარენკოს ფაქტორი ჰქვია.

გონჩარენკოს ფაქტორი

ვიდრე ამ ფაქტორს ავხსნი, აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ უკრაინის „რადას“ დეპუტატი კრემლის აგენტია, რომელიც უკრაინაში რუსულ საქმეს აკეთებდა და ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში გაჩნდა ალექსეი გონჩარენკოს განცხადება, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებს მხარი არ დაუჭირა. რა, სტოკჰოლმის სინდრომი აიკიდეთ? პრემიერი, ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ სანქციების დაწესება მის ქვეყანას ბევრად მეტ ზიანს მოუტანს. ამისთვის პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევასაც კი არ აპირებს, მაგრამ ყველაზე მეტად გამაოგნებელია პასუხი მარტივ კითხვაზე: – აპირებს თუ არა ღარიბაშვილი, სოლიდარობის ნიშნად, ვიზიტს კიევში. პრემიერი აცხადებს, რომ ახლა უკრაინის თავზე ცა დაკეტილია. არა უშავს, ირაკლი, როცა ომი დასრულდება და ჩვენს თავზე სამხედრო თვითმფრინავების ნაცვლად, სამგზავრო თვითმფრინავები იფრენენ, შეგიძლია, არსადაც აღარ წახვიდე.

ქართველებო, ძმებო, როგორ მოგწონთ ეს? ნუთუ, დაგავიწყდათ, როგორ ჩამოვიდა უკრაინის პრეზიდენტი თბილისში, როდესაც 2008 წელს, თბილისისკენ ტანკები მოემართებოდნენ? ამას მოითმენთ, თუ საჯაროდ აუხსნით ღარიბაშვილს, რა უნდა გააკეთოს?“

აი, ამის შემდეგ, რუსთაველის გამზირზე, უკრაინელი ხალხის მიმართ სოლიდარობის აქციაზე, ცნობილი სახეები ერთ მწკრივში, ხაზზე დადგნენ, პირველ-მეორეზე გაითვალეს და სათითაოდ მოუხადეს ბოდიში ალექსეი გონჩარენკოს. მეტიც, თითქმის სამივე ტელევიზიამ ჩართო პირდაპირ ეთერში, ოღონდ არავის მოსვლია თავში აზრად, გადაემოწმებინათ, ვინ არის გონჩარენკო ან ვის უხდიდნენ ბოდიშს!

ვინ არის ალექსეი გონჩარენკო

უკრაინელი პოლიტიკოსია, უკრაინის უმაღლესი „რადას“ მერვე და მეცხრე მოწვევის დეპუტატი, ევროპული სოლიდარობის ფრაქციის წევრი. 2010 წლიდან, მეექვსე მოწვევის ოდესის საოლქო საბჭოს დეპუტატი გახლდათ. 2014 წელს, ოდესის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე, ოდესის საქალაქო საბჭოს მეხუთე და მეექვსე მოწვევის დეპუტატიც იყო, ხოლო 2005 წლიდან 2014 წლამდე – „რეგიონების პარტიის“ წევრი გახლდათ.

ალექსეი გონჩარენკო 1980 წლის 16 სექტემბერს, ოდესაში, მარინა თეოდორეს ასულ გონჩარენკოს ოჯახში დაიბადა, რომელიც ოდესის პორტში მუშაობდა, შემდეგ მეცნიერებათა სკოლის მასწავლებელი და „რეგიონების პარტიის“ წევრი გახლდათ. 3 წლის ასაკში, მისი მშობლები დაშორდნენ და ამის შემდეგ დედის გვარზე გადავიდა.

ალექსეი გონჩარენკო ოდესის რამდენიმე სკოლაში სწავლობდა. 1994 წელს, 14 წლის ასაკში, საფრანგეთის ბულვარზე მდებარე საბავშვო ბაღში ინგლისურს ასწავლიდა. 1996 წელს, ბიოლოგიის ოლიმპიადაზე გაიმარჯვა, რის გამოც ოდესის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უგამოცდოდ, გასაუბრებით ჩაირიცხა. 1999 წელს სამუშაოდ წავიდა ოდესის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურში, სადაც 2001 წლამდე მუშაობდა.

2002 წლიდან, სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებით დასრულების შემდეგ, 2005 წლამდე, მოსკოვში მდებარე რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებულ სახალხო ეკონომიკის აკადემიაში სწავლობდა, სადაც მეორე უმაღლესი განათლება მიიღო, ამჯერად ეკონომიკურ და ფინანსურ მენეჯმენტში. 2006 წელს, ჯონ სმიტის ფონდის პროგრამის წევრი გახდა, რომლის ფარგლებშიც, ერთთვიანი სტაჟირება გაიარა გაერთიანებულ სამეფოში – გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში, ქალაქ ლუტონის ადგილობრივ ხელისუფლებაში (ლონდონის გარეუბანი), უელსის ეროვნულ ასამბლეაში.

2014 წლის თებერვალში, ევრომაიდანზე განვითარებული მოვლენების შემდეგ, ალექსეი გონჩარენკომ დატოვა „რეგიონების პარტია“ და ოდესის რეგიონალური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაც. ის იყო პრეზიდენტობის კანდიდატის, პეტრო პოროშენკოს რწმუნებული. ხელმძღვანელობდა პარტია „სოლიდარობის“ რეგიონულ ორგანიზაციას. 2014 წლის 14 აგვისტოს, აირჩიეს საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ. 2014 წლის 26 ოქტომბერს, უმაღლესი „რადას“ არჩევნებში მონაწილეობდა და სახალხო დეპუტატი პეტრო პოროშენკოს ბლოკის პარტიის სიით გახდა.

გონჩარენკოს ბიოგრაფიაში მოსკოვის ინციდენტიც გვხვდება, კერძოდ, 2015 წლის 1 მარტს, მოსკოვის პოლიციამ გონჩარენკო,მოკლული რუსი ოპოზიციონერის, ბორის ნემცოვის სამგლოვიარო მსვლელობისას დააკავა. ამის შემდეგ, 2014 წლის 2 მაისს, ოდესაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, როდესაც პროფკავშირების სასახლეში ხალხი დაიწვა, რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტში გადაიყვანეს – „პროცედურული მოქმედებებისთვის“, თუმცა იმავე საღამოს, უკრაინის საელჩომ გირაო გადაიხადა და გაათავისუფლეს. 2015 წლის 2 მარტს, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომ დაკავებული უკრაინელი დეპუტატის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა.

გონჩარენკოს რეალური სახე

გონჩარენკო ტიპური მედროვეა, რომელიც უკრაინაში რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას ითხოვდა. ჯერ იანუკოვიჩს უჭერდა მხარს, შემდეგ – პოროშენკოს. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ არც ისე შორეულ წარსულში, გონჩარენკო ღიად უჭერდა მხარს უკრაინის გაწევრიანებას რუსეთ-ბელორუსის კავშირში!

ექსპერტი, დავით ქართველიშვილი სოციალურ ქსელში წერს, რომ ალექსეი გონჩარენკო მხოლოდ კიევის ევრომაიდანზე განვითარებული მოვლენების შემდეგ გახდა ქვეყნის პატრიოტი, თორემ მანამდე, გულმხურვალედ იცავდა რუსულ ენას და რუსული ფილმების უკრაინულ ენაზე დუბლირებასაც კი აპროტესტებდა:

„2014 წელს, როგორც პოლიტიკური მოძრაობა „რუსული ბლოკის“ აქტივისტი, გონჩარენკო აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიაში. შუალედში, ვიქტორ იანუკოვიჩის „რეგიონების პარტიიდან“, სწორედ მაიდნის მსვლელობისას გამოვიდა – 2014 წლის 19 თებერვალს! ამის შემდეგ, მკვეთრად პრორუსი გონჩარენკო, ხისტი პროუკრაინული კურსის მხარდამჭერი ხდება. იმ დროს, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორი იყო, მცირე დროით, ადგილობრივი საოლქო „რადას“ წევრი იყო, ბოლოს – „პოროშენკოს ბლოკიდან“, უმაღლესი „რადას“ დეპუტატი გახდა. 2020 წლის მარტში, „რადას“ ერთ-ერთ სხდომაზე, მან უხეშად მიმართა ზელენსკის – მამაცობა გამოიჩინე და დატოვე პრეზიდენტის პოსტიო. ზელენსკი ტრიბუნიდან სასესიო დარბაზში, პირადად მასთან ჩავიდა – საუბრის შინაარსი უცნობია, მაგრამ ამის შემდეგ, პრეზიდენტ ზელენსკის გონჩარენკოსთვის ხელი აღარ ჩამოურთმევია.

შარშან, ევროპის საბჭოში გამოცხადდა მაისურით, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „პუტინი = ჰიტლერს“, მაგრამ ამის მიუხედავად, დღემდე, კრემლის ცენტრალური ტელეარხების ხშირი სტუმარია! ასე რომ, ქართული და უკრაინული „მეხუთე კოლონის“ დუეტი ამოქმედდა“, – წერს დავით ქართველიშვილი.

ვირუსს ახალი მეთოდით გამოავლენენ

ჩინელმა სწავლულებმა ახალი სისტემა შექმნეს, რომელიც კორონავირუსის ჰაერში გამოვლენის საშუალებას იძლევა. ცოტა ხნის წინ, ეს ტექნოლოგია პეკინის ზამთრის ოლიმპიადაზე უკვე გამოსცადეს. მიუხედავად იმისა, რომ ვირუსი, ძირითადად, ჰაერწვეთოვანი გზით გადაეცემა, მაგალითად, დაცემინების ან დახველების დროს, შესაძლოა, აეროზოლური ნაწილაკების საშუალებით, ჰაერშიც შენარჩუნდეს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დახურულ სივრცეში.

სპეციალისტების მირ შემუშავებული მოწყობილობა სივრცეში ვირუსის სწრაფად აღმოჩენის საშუალებას იძლევა. ე.წ. პორტატული კოლექტორი ჰაერსა და აეროზოლურ ნაწილაკებს შეიწოვს, შემდეგ სისტემა მას სითხეში ხსნის და საბოლოოდ, დეტექტორი აანალიზებს, არის თუ არა მასში ვირუსი. სატესტო მოწყობილობა, ავტორების თქმით, ათჯერ უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე ვირუსის გამოსავლენი სხვა სტანდარტული მოწყობილობები.

ნაყინი – დედის რძით?!

"ნისლიანი ალბიონის" დედაქალაქში, ერთ-ერთი რესტორნის მფლობელს უჩვეულო იდეა გაუჩნდა – გადაწყვიტა, დაწესებულების სტუმრებისთვის დედის რძისგან დამზადებული ნაყინი შეეთავაზებინა. ერთი პორცია ასეთი ცივი დესერტი, რომელსაც "მარტინის" ფუჟერით მოგართმევენ, 14 გირვანქა სტერლინგი ღირს. ნაყინისთვის საჭირო რძის პირველი მიმწოდებელი ქალაქ ლიდსის მკვიდრი, 35 წლის ვიქტორია ჰაილი იყო. პირველ ჯერზე, მან რესტორანს 850 მლ რძე მიჰყიდა, რაც 50 პორცია ნაყინის დამზადებას ეყო. დღეს დაწესებულება პროდუქციის "მიმწოდებლებს" 15 გირვანქას უხდის ყოველ 10 მლ რძეზე, ოღონდ ერთი პირობით – ქალმა სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს. ჯერჯერობით, შემოწმების სურვილი მხოლოდ ათმა ქალმა გამოთქვა. ნაყინი, რომელსაც "ბეიბი გაგა" უწოდეს, დანამატების სახით, ვანილსა და ლიმონის ცედრას შეიცავს.

უნიკალური ბაქტერია აღმოაჩინეს



გობის უდაბნოში, მკვლევარებმა ბაქტერიის უჩვეულო სახეობა აღმოაჩინეს, რომელსაც მზის ენერგიის შთანთქმა შეუძლია ფოტოსინთეზის "ნასესხები" ტექნოლოგიის დახმარებით. საუბარია ბაქტერია Gemmatimonas phototrophica-ზე. ჩეხი სწავლულების თქმით, ის "ბუნების ნამდვილი შედევრია". ასეთი მოლეკულური სტრუქტურა დედამიწაზე არცერთ სხვა ორგანიზმში არ გვხვდება. აღმოჩენით ცხადი გახდა, რომ ბაქტერიას გენების ჰორიზონტალური გადატანის ძლიერი უნარი აქვს, რაც მას ეხმარება, სწრაფად გახდეს ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ფოტოსინტეზის მექანიზმი ბაქტერიაში, შესაძლოა, მეცნიერებს დაეხმაროს მზის ბატარეებზე სინთეტიკური ბიოლოგიის განვითარებაში.

ცისფერი ლუდი ჩამოასხეს

ფრანგულმა ლუდსახარშმა Hoppy Urban Brew-მ, Etika Spirulina-თან ერთად, რომელიც ლურჯ-მწვანე წყალმცენარის, სპირულინას მოშენებით არის დაკავებული, განსაკუთრებული სასმელი ჩამოასხა, მკვეთრად გამოხატული ფერით. ლუდის მწარმოებლების თქმით, მრავალრიცხოვანი ცდების შედეგად, მათ მიაგნეს რეცეპტს, რომლის წყალობითაც სასმელის სასურველ ფერსა და გემოს მიაღწიეს. სპირულინა ლუდს ცისფერ შეფერილობას ანიჭებს, ამასთან, ნატურალური საღებავის გამოყენება არ ახდენს გავლენას სასმელის საბოლოო გემოზე. ცისფერმა ლუდმა Line, რომელიც მცირე რაოდენობით ალკოჰოლს შეიცავს, მომხმარებლებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ლუდსახარში ახლა წარმოების გაფართოებას გეგმავს, რადგან მათი თქმით, სამ თვეში, 1 500-ზე მეტი ბოთლის გაყიდვა უკვე წარმატებულ ექსპერიმენტს ნიშნავს.

ბელგიელებს ოთხდღიანი სამუშაო კვირა ექნებათ

ბელგიის ხელისუფლებამ შრომის კოდექსში ცვლილება შეიტანა – ამიერიდან, ამ ქვეყნის მცხოვრებლებს შეუძლიათ, ოთხდღიანი სამუშაო კვირა მოითხოვონ, ხელფასის შენარჩუნებით. დამსაქმებელს უფლება აქვს, უარი უთხრას თანამშრომელს, თუმცა ვალდებული იქნება, წერილობით, საფუძვლიანად დაადასტუროს უარის მიზეზი. შემცირებული სამუშაო კვირის მიუხედავად, ბელგიელები იმდენივე საათს იშრომებენ, რამდენსაც ჩვეულებრივ კვირაში. ქვეყნის პრემიერის თქმით, რეფორმის მიზანი უფრო პროდუქტიული ეკონომიკის შექმნაა.

გიგანტური მარწყვი მოიწია

ისრაელში, ერთ-ერთმა ფერმერმა ყველაზე დიდი წონის მარწყვი მოიყვანა და გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. როგორც "როიტერი" წერს, კენკრა ზაჰი არიელის ფერმაში გაიზარდა და მისი წონა 289 გრამს შეადგენდა, რაც ადგილობრივი ჯიშის მარწყვის წონაზე 5-ჯერ მეტია. ნაყოფის სიგრძე 18 სანტიმეტრი იყო, გარშემოწერილობა კი 34 სანტიმეტრს შეადგენდა. რეკორდის დაფიქსირების შემდეგ, უზარმაზარი მარწყვი თავად ფერმერმა მიირთვა. სპეციალისტები კენკრის გიგანტურ ზომას ამინდს უკავშირებენ. 2021 წელს, უჩვეულო სიცივის გამო, მარწყვის მომწიფების პროცესი ნელა მიმდინარეობდა, რის გამოც მას წონაში მატების საშუალება მიეცა. ყველაზე დიდი მარწყვის წინა რეკორდი კი იაპონელ ფერმერს ეკუთვნის – 2015 წელს, მისი მოწეული კენკრის წონა 250 გრამი იყო.

დაცემინებამ საყლაპავი გაუხეთქა

ბრიტანელი მამაკაცი დაცემინების შეკავებას ცდილობდა და ამის გამო სავადმყოფოში აღმოჩნდა. დაზარალებულმა – 34 წლის პაციენტმა, მედიკოსებს განუცხადა, რომ ყლაპვისას მწვავე ტკივილს გრძნობდა და ხმაც შეეცვალა. მისი თქმით, დაცემინების შეკავება ცხვირზე ხელის მოჭერით და პირის მოკუმვით სცადა და ამ დროს იგრძნო, რომ თითქოს, კისერში რაღაც გასკდა. რენტგენმა აჩვენა, რომ მას ცხვირ-ხახის მიდამოში ჰაერის დაგროვება და ძლიერი კანქვეშა ემფიზემა ჰქონდა. ემფიზემა ფილტვების ან სასუნთქი გზების დაზიანებაზე მიანიშნებს. გამოკვლევებით გაირკვა, რომ ემფიზემის არეალი კიდევ უფრო გაფართოვებული იყო. ექიმებმა დაასკვნეს, რომ პაციენტს დაცემინებისას, საყლაპავის კედელი გაუსკდა. ამგვარი რამ დაცემინების, დახველებისა და ღებინების დროს, ნესტოებისა და პირის დახურვით ხდება. ასე რომ, ერთი დაცემინების გამო დაზარალებულ მამაკაცს კლინიკაში გარკვეული დროის გატარება მოუწევს.

„ჩიფსები“ ოქროთი დაფარეს

იაპონურმა კომპანიამ Koikeya, კარტოფილის "მდიდრული" ჩიფსები გამოუშვა, რომელიც ნამდვილი ოქროთია დაფერილი. პროდუქტი, სახელწოდებით – Koikeya Pride Potato, დასაფერი ოქროს მწარმოებელ კომპანიასთან ერთად შეიქმნა. ცნობილია, რომ ჩიფსების დამზადების პროცესში, სხვადასხვა ზომის ოქროს – დიდს და პატარა ნაწილებს იყენებენ, რათა ყოველი ცალი ჩიფსისთვის მაქსიმალური დაფარვა და ბრწყინვალება გარანტირებული იყოს. ერთი შეფუთვა ასეთი ჩიფსების ფასი 2.7 დოლარია. მწარმოებელი მომხმარებელს ექსკლუზიურ ნაკრებსაც სთავაზობს, რომელშიც სამი შეფუთვა ჩიფსი და სამი შეფუთვა 0.12-გრამიანი ოქრო შედის – თავად შეგიძლიათ, ოქრო პროდუქტს მოაყაროთ. ამგვარი ნაკრების ღირებულება კი 18 დოლარია.

დაუნის სინდრომიანი მოდელი ბრენდის სახეა

24 წლის სოფია ჟირაუ, დაუნის სინდრომის მქონე პირველი მოდელია, რომელიც Victoria's Secret-ის სახე გახდა. პუერტო-რიკოელმა სოფიამ, სხვა 17 მოდელთან ერთად, ბრენდის Love Cloud-ის კოლექცია წარადგინა, რომელიც ყველა ტიპის ქალზეა გათვლილი. კამპანიის სახეებად Victoria's Secret-მა განსხვავებული ასაკის, კანის ფერისა და სხეულის ფორმების მქონე დამწყები და პროფესიონალი მოდელები შეარჩია. ჩვენებაში პირველი ტრანსგენდერი მოდელი – ვალენტინა სამპაიოც იყო ჩართული, რომელიც ბრენდის სახე 2019 წელს გახდა.

„ამ დღეზე ვოცნებობდი, ბევრი ვიშრომე და ოცნებაც ამიხდა. დაუნის სინდრომის მქონე პირველი მოდელი ვარ. დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის. ეს მხოლოდ დასაწყისია", – წერს სოფია ჟირაუ „ინსტაგრამის" საკუთარ გვერდზე.

მსოფლიოს რომანტიკული ქალაქები დაასახელეს

ამერიკულმა კომპანია WeThrift-მა, მსოფლიოს ყველაზე რომანტიკული ქალაქების სია შეადგინა. რეიტინგის სათავეში ლონდონი აღმოჩნდა, მეორე ადგილი პარიზს ერგო, მესამეზე კი ბარსელონა გავიდა. ექსპერტებმა ქალაქები სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით შეაფასეს – რესტორნების, პარკების, სპა-სალონების, ღირსშესანიშნაობების, შეყვარებულებისთვის განკუთვნილი სასტუმროების რიცხვისა და ქალაქის ჰეშტეგით, "ინსტაგრამ"-პოსტების რაოდენობას ითვლიდნენ. ყველაზე რომანტიკული ქალაქების სრული სია კი ასე გამოიყურება: ლონდონი, პარიზი, ბარსელონა, ტოკიო, ნიუ-იორკი, რომი, სტამბული, მოსკოვი, დუბაი, სინგაპური, მადრიდი, პრაღა, ბანგკოკი, ფჰუკეტი და ლოს-ანჯელესი.

მაღვიძარა ყავასაც კი მოგიმზადებთ

ბევრი ადამიანისთვის ერთი ფინჯანი გამამხნევებელი, არომატული ყავა ერთადერთია, რაც დილით აფხიზლებთ. თუმცა, ხშირად, საწოლიდან ადგომა და სასმელის მომზადება ეძნელებათ. ლონდონურმა დიზაინერულმა კომპანიამ – Joy Resolve, ეს პრობლემა გადაჭრა და "ჭკვიანი" მაღვიძარა შექმნა, რომელიც თავად მოამზადებს ყავას ან ჩაის. გარდა შთამბეჭდავი დიზაინისა, რომელიც რეტრო-სტილშია გადაწყვეტილი, გაჯეტს – Barisieur Immersion Edition, რამდენიმე საინტერესო ტექნოლოგიური შესაძლებლობაც აქვს, რომელთა წყალობითაც შესანიშავი შედეგი დგება. ამ უნიკალურ მოწყობილობას, რომელიც მინიატურულ ლაბორატორიას ჰგავს კოლბებით, ციფრული დისპლეი აქვს, ჰერმეტულ კონტეინერებში კი ინგრედიენტების ერთკვირიანი მარაგი ინახება. "ჭკვიანი" მაღვიძარა უკვე ხელმისაწვდომია და წინასწარი შეკვეთით, მსურველს ის 420 დოლარი დაუჯდება.

კიბოს ვაქცინით პირველი პაციენტი აიცრა

ახალი ვაქცინა, რომელიც ადამიანის დნმ-ზეა მოგებული, კლინიკურ კვლევებს გადის. კიბოს ვაქცინა და მკურნალობის ტაქტიკა კონკრეტულ პიროვნებაზეა მორგებული და ექიმების მიზანი სიმსივნის განმეორების პრევენციაა. ცდები ახლაც მიმდინარეობს და თუ წარმატებით დასრულდება, სპეციალისტების თქმით, ეს იქნება რევოლუციური სვლა სიმსივნის მკურნალობაში. ბრიტანელ მამაკაცს, რომელმაც პირველმა გაიკეთა საცდელი ვაქცინა, 2011 წელს, თავისა და კისრის მიდამოში კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. მკურნალობის მიუხედავად, დაავადებამ რეციდივი 4-ჯერ განიცადა. რადიაციულმა თერაპიამ უამრავი გვერდითი მოვლენა გამოიწვია. ახლა ის იმ კლინიკურ კვლევაში მონაწილეობს, სადაც ბრიტანელი მეცნიერები TG4050-ს – სიმსივნის საწინააღმდეგო ვაქცინას სცდიან. პრეპარატი პაციენტის იმუნურ სისტემას "ავარჯიშებს", რათა მან კიბოს განმეორება აიცილოს თავიდან. ახალი ვაქცინა, უკვე არსებულისგან განსხვავებით, ადამიანის დნმ-ზეა მორგებული და პაციენტის სიმსივნური ქსოვილისგანაა შექმნილი. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ქიმიოთერაპიასა და სხივურ თერაპიასთან შედარებით, მას ნაკლები გვერდითი მოვლენები ექნება.

კურორტზე დასახლებისთვის ფულს გადაუხდიან

ალბინენი ერთი ჩვეულებრივი, პატარა სოფელია შვეიცარიის ალპებში. მიუხედავად იმისა, რომ იქ სუფთა ჰაერი, ულამაზესი ბუნება და თერმული წყლებია, სოფელი მაინც მოსახლეობის დეფიციტს განიცდის – მხოლოდ 240 ადამიანი ცხოვრობს. დაიხურა სკოლა, რადგან ცოტა მოსწავლე ჰყავდა და ახლა ადგილობრივ ბავშვებს 20 კილომერის დაშორებით უწევთ სიარული განათლების მისაღებად. ალბინენის მოსახლეობამ სოფლის გადასარჩენად ბრძოლა გადაწყვიტა და საკმაოდ სოლიდური თანხა დააწესა ოჯახებისთვის, რომლებიც მათთან გადავლენ საცხოვრებლად.

სხვათა შორის, ალბინენის მოსახლეობას საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები აქვთ. კერძოდ, ოჯახი უნდა იყოს, სულ მცირე, ოთხსულიანი. ოჯახის უფროსები 25 ათას დოლარს მიიღებენ, პატარები – 10 ათას დოლარს. გამოდის, რომ ოთხსულიან ოჯახს 70 ათას დოლარს სთავაზობენ. ამასთან, უფროსები 45 წელზე მეტი ასაკის არ უნდა იყვნენ, რომლებსაც შვეიცარიის მოქალაქეობა ან ქვეყანაში ცხოვრების უფლება უნდა ჰქონდეთ. გარდა ამისა, ალბინენში 10 წელიწადი უნდა იცხოვრონ. ყველაზე მთავარი მოთხოვნა კი ცოტა უჩვეულოდ გამოიყურება – ოჯახმა ალბინენში უნდა ააშენოს ან შეიძინოს სახლი და მასში 200 ათასი დოლარი უნდა დახარჯოს.

ქურდი კატა გამოიჭირეს

აშშ-ში, პენსილვანიის შტატში მცხოვრებ ქალბატონს, ბი ჯეი როსის სახლში უჩვეულო კატა „ჯორდანი“ ჰყავს. მისი საყვარელი ცხოველის ჰობი ფეხსაცმელების ქურდობაა. ადგილობრივი გამოცემის ინფორმაციით, კატამ პატრონის სახლში ფეხსაცმლის ნამდვილი საწყობი მოაწყო. ქალმა სოციალურ ქსელში სპეციალური ჯგუფიც კი შექმნა, სადაც ნაქურდალის ფოტოებს აქვეყნებს და მათ მფლობელებს ასე ეძებს. როსის თქმით, მან უკვე გაარკვია, რომ კატა სანადიროდ ყოველთვის ღამით მიდის და შინ ნადავლით ბრუნდება.

კითხვა სასარგებლოა ორგანიზმისთვის

წიგნების კითხვა მეტად სასარგებლო საქმიანობაა ადამიანის ორგანიზმისთვის – ამის შესახებ ამერიკელმა სწავლულებმა განაცხადეს, იალეს უნივერსიტეტიდან. მათ გამოკვლევა ჩაატარეს და დადგინეს, რომ კითხვა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. მკვლევართა თქმით, ის ადამიანები, რომლებიც წიგნების კითხვას კვირაში 3.5 საათს მაინც უთმობენ, ნაადრევი სიკვდილის რისკს 23%-ით იმცირებენ მათთან შედარებით, რომლებიც საერთოდ არ კითხულობენ. წიგნები გვიხსნის სტრესისგან, რომლისგანაც დაავადებათა დაახლოებით, 60% იწყება, იწვევს ინსულტს და გულსისხლძარღვთა დაავადებებს. გარდა ამისა, კითხვა ანვითარებს მეხსიერებას და კოგნიტურ ფუნქციებს. ამასთან, იმ ადამიანებს, რომლებიც წიგნებს კითხულობენ, კარგადაც სძინავთ, რასაც ვერ ვიტყვით კომპიუტერსა და სმარტფონებზე მიჯაჭვულებზე. კითხვა სოციალურ უნარებსაც ანვითარებს – მკითხველები უკეთესად გრძნობენ და ესმით, რაზე ფიქრობენ სხვები.

ჩუსტები ვეგანებისთვის

ფრანგულმა ბრენდმა Rombaut, უცნაური ფეხსაცმელი გამოუშვა ვეგანებისთვის – "შლოპანცები" კომბოსტოთი. იდეის ავტორია, მეთ რომბეუთი. ის ამერიკელი მოდელის, ბელა ჰადიდის საყვარელი დიზაინერია. მეთი დიდი ხანია მცენარეულ დიეტაზეა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, სპეციალურად ვეგანებისთვის მიეძღვნა ფეხსაცმელი. ერთი წყვილი ასეთი კომბოსტოიანი "შლოპანცი" 100 დოლარი ეღირება. წინასწარი შეკვეთით, მსურველი სულ 50 წყვილ ასეთ ფეხსაცმელს მიიღებს მწვანე კომბოსტოთი. თუმცა, დიზაინერის თქმით, სულ მალე, მყიდველებს წითელი კომბოსტოს ჩუსტებითაც გაახარებს.

ვაქცინა კბილების დაავადებების წინააღმდეგ

ავსტრალიელმა სწავლულებმა მელბურნის უნივერსიტეტიდან, ახალი სტომატოლოგიური ვაქცინა წარადგინეს, რომელსაც ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში, ანტიბიოტიკებზე მოთხოვნის შემცირება შეუძლია კბილებისა და ღრძილების დაავადებების დროს. ავსტრალიელი მკვლევარები ამ თემაზე 15 წლის განმავლობაში მუშაობდნენ. ამის შედეგია, სწორედ ვაქცინა ქრონიკული პერიოდონტიტის წინააღმდეგ. ამ ანთებითი პროცესისას ირღვევა ნერვებთან ახლოს მყოფი ღრძილების ქსოვილები და კბილების ფესვების გარსი, რაც დაჩირქებასა და სისხლდენას იწვევს და ძლიერი ტკივილით ხასიათდება. ეს დაავადება თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიას მოიცავს. სტატისტიკის მიხედვით, ავსტრალიაში, ყოველ მესამე მოზრდილ ადამიანს აწუხებს პერიოდონტიტი, 65 წელს გადაცილებულებში კი – ნახევარზე მეტს. ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარებულმა ვაქცინის ცდებმა აშშ-სა და "მწვანე კონტინენტზე", დადებითი შედეგი გამოიღო. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ კლინიკური ცდები მოხალისეებზე უკვე მომავალი წლის დასაწყისიდან ჩატარდება. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ მათი გამოგონება მილიონობით ადამიანს დაეხმარება.

თრობისგან სიფხიზლის აბი დაგიცავთ

ამერიკელმა სწავლულებმა დაასრულეს პრეპარატის გამოცდა, რომელიც ადამიანის თავის ტვინს ალკოჰოლის ზემოქმედებისგან იცავს. ახალი პრეპარატი არა მხოლოდ უკვე მიღებული სპორტიანი სასმელის ნეიტრალიზაციას ახდენს, არამედ სპობს კიდეც ნაბახუსევის შეგრძნებას. გამოგონების ავტორები იელის უნივერსიტეტის სპეციალისტები არიან. თუ ადამიანი აბებს ალკოჰოლის დალევამდე მიიღებს, აღარ დათვრება და სხვადასხვა ტესტებს ისეთივე წარმატებით დაძლევს, როგორც ჩვეულებრივ, ფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის დროს. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ახალი პრეპარატი საშუალებას მისცემს მედიკოსებს, წარმატებით შეებრძოლონ თრობის პრობლემას და ალკოჰოლზე დამოკიდებულებასაც.

ყავაზე მომუშავე სახლი ააშენეს

ბევრ ადამიან ყავის გარეშე ვერ წარმოუდგენია ცხოვრება. ახლა კი ასეთი სახლიც გაჩნდა – ვერც ის იფუნქციონირებს ამ არომატული სასმელის გარეშე, რადგან "ყავის ბატარეებზე" მუშაობს. სახლის ავტორია კომპანია New Frontier Tiny Homes-ა , ბიოტექნოლოგიურ კომპანია Blue Marble Biomaterials-თან ერთად. სახლის გათბობისა და ენერგოუზრუნველყოფისთვის, ყავის ნალექისგან მიღებული ბიოსაწვავი გამოიყენება. 3.7 ლიტრი ასეთი საწვავის მისაღებად, 77 კილოგრამი ნალექია საჭირო. ბიოსაწვავზე მომუშავე სახლი სულ 25 კვ.მეტრის ფართისაა. მის დიზაინზე მსახიობმა ოლივია უაილდმა იმუშავა. ამ პატარა სახლში არის სამზარეულო, საძინებელი ადგილი და აბაზანაც. სამზარეულო ყველა საჭირო მოწყობილობითაა აღჭურვილი.

ტელეფონის დათვალიერების გამო დააპატიმრეს

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მცხოვრებ ქალბატონს სასამართლომ სამთვიანი პატიმრობა იმის გამო მიუსაჯა, რომ მან ქმრის მობილური ტელეფონი უნებართვოდ დაათვალიერა. სარჩელი სასამართლოში ქმარმა შეიტანა. პროცესზე მან განმარტა, რომ ვიდრე თავად ეძინა, ცოლმა მის მობილურში არსებული ინფორმაცია, მათ შორის, ფოტოები და მიმოწერა დაათვალიერა და ეს ყველაფერი და-ძმასაც გაუზიარა. მიუხედავად ცოლის მტკიცებისა, რომ ტელეფონის პაროლი და მიმოწერის წაკითხვის უფლება მეუღლემ თავად მისცა, სასამართლომ ის მაინც დამნაშავედ სცნო. საემიროების კანონის მიხედვით, მეუღლეებს ერთმანეთის მობილური ტელეფონის დათვალიერების უფლება ეჭვიანობის შემთხვევაშიც კი არ აქვთ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.